ეროვნული ბიბლიოთეკა

# მოგილოცავთ გამარჯვებას, ჩვენო მეჩაიეებო!




პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 47-ე წელი № 188 (13582) | პარასკევი, 19 აგვისტო, 1966 წ. | ფასი 2 კაპ.

## სასიხარულო ნობათი

**შესრულებულია ჩაის ფოთლის კრეფის წლიური გეგმა, მოკრეფილია 201.600 ტონა ჩაის ფოთოლი, კ რ ე ფ ა გ რ ძ ე ლ დ ე ბ ა!**

# ქართველ მეჩაიეთა დიდი გამარჯვება

**დიდად** სასიხარულო ამბავი მოვიდა რესპუბლიკის ხავერდოვანი ჩაის პლანტაციებიდან: სახელგანთქმულმა ქართველმა მეჩაიეებმა, რომლებიც ახორციელებენ პარტიის XXIII ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტის (1965 წ.) და მაისის (1966 წ.) პლენუმების გადაწყვეტილებებს, შესანიშნავი გამარჯვება მოიპოვეს სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების გადიდებისათვის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში. ჩაის უხვი მოსავლის ოსტატებმა ვადაზე ორი თვით ადრე გადაჭარბებით შეასრულეს ხუთწლედის პირველი წლის დავალება.

**19 აგვისტოსათვის მათ მოკრიფეს და სახელმწიფოს ჩააბარეს 201.600 ტონა მაღალხარისხოვანი ჩაის ფოთოლი და წლიური გეგმა 103,3 პროცენტით შეასრულეს. ეს 15,5 ათასი ტონით მეტია, ვიდრე მოკრეფილ იქნა შარშან. პირველ ხარისხად ჩაბარებულია მთელი მოკრეფილი ჩაის 68,7 პროცენტი.**

მეჩაიეთა ბრწყინვალე წარმატებას დიდი სიხარულით შეხვდა საქართველოს ყველა მშრომელი, იმიტომ რომ ქართული ჩაი მთელი ჩვენი რესპუბლიკის სიამაყე და სიმდიდრეა. ეს დიდი გამარჯვება მოპოვებულია შესანიშნავ დღეებში, როდესაც ჩვენი რესპუბლიკა, მთელი საბჭოთა კავშირი ემზადებიან ზეიმით აღნიშნონ გენიალური ქართველი პოეტის შოთა რუსთაველის დაბადების 800 წლისთავი.

ჩვენმა მეჩაიეებმა დიდი შრომითი გამარჯვება მოიპოვეს. მათ პირველად საქართველოს მეჩაიეობის ისტორიაში მიიღეს ნამდვილად უმაგალითო რეკორდული მოსავალი. მაგალითად, 1952 წელს საქართველოს ყველა ჩაის პლანტაციაში მოიკრიფა 92 ათასი ტონა ფოთოლი, წელს კი მარტო ოთხ თვეში მოკრეფილია ორჯერ და უფრო მეტი ჩაი. ასეთი მაღალი მაჩვენებლები ჩვენს მეჩაიეებს ჯერ არა ჰქონიათ.

ეს გამარჯვება იოლი როდი იყო. იგი მოპოვებულია მეჩაიეთა დიდი შრომითი ენთუზიაზმის, მათი დიდი შეგნებულობისა და პარტიისა და სამშობლოს წინაშე მოვალეობის დიდი გრძნობის შედეგად. ეს ეხმარება მათ იბრძოლონ ხუთწლედის გეგმის ვადამდე შესრულებისათვის. ჩაის პლანტაციათა მშრომელებმა ჯერ კიდევ გასულ გაზაფხულს მაღალ აგროტექნიკურ დონეზე, შემჭიდროებულ ვადებში დაამთავრეს საჭირო სამუშაოები ჩაის პლანტაციებში და ამით რეალური საფუძველი შექმნეს 1966 წლის ჩაის უხვი მოსავლის მისაღებად. დაძაბულ შრომაში მეჩაიეები ხელმძღვანელობენ იმის შეგნებით, რომ საჭიროა კიდევ მეტი თავდადება, რათა სამშობლო გაახარონ ახალი წარმატებებით. ასე შრომა საჭიროა იმიტომაც, რომ არ შეალახონ ღირსება რესპუბლიკისა, რომელიც დაჯილდოებულია მეორე ლენინის ორდენით, და იმიტომაც, რომ 1965 წელს სოფლის მეურნეობის განვითარებაში მიღწეული წარმატებებისათვის საბჭოთა საქართველო დაჯილდოვდა სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის პირველი ხარისხის დიპლომით.

ეს დიდი შრომითი გამარჯვება მოწმობს, რომ სახელგანთქმულ ქართველ მეჩაიეებს მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ კომუნიზმის მშენებლობაში და რომ ისინი ვიჩვენებენ კარგ მაგალითს ხუთწლედის გეგმების ოთხ წელიწადში შესრულებისათვის ბრძოლაში.

200 ათასი ტონა მაღალხარისხოვანი ჩაის ფოთლის მიღებისათვის გაჩაღებულ საყოველთაოსახალხო შეჯიბრებაში განსაკუთრებით ისახელეს თავი **აფხაზეთისა და აჭარის** ასს რესპუბლიკების, **მახარაძისა და ზუგდიდის** რაიონების მეჩაიეებმა, რომლებმაც ვადამდე შეასრულეს ჩაის კრეფის გეგმები, ამასთან მნიშვნელოვნად გააუმჯობესეს ნედლეულის ხარისხი. ხუთწლედის პირველი წლის გეგმების ბრწყინვალედ შესრულებაში ღირსეული წვლილი შეიტანეს აგრეთვე **წალენჯიხის, ლანჩხუთის, გეგეჭკორის, ჩხოროწყუს, ჩოხატაურის, ტყიბულის, წყალტუბოს, წულუკიძის, ცხაკაიას, ხობის, სამტრედიისა** და სხვა რაიონების მეჩაიეებმა.

საერთო წარმატებას მნიშვნელოვნად შეუწყეს ხელი აგრეთვე, „საქართველოს" მარკის ჩაის საკრეფმა მანქანებმა. წელს ამ მძლავრი მანქანებით უკვე მოიკრიფა 5.100 ტონა ჩაი, რაც 1.099 ტონით მეტია, ვიდრე შარშან.

მაღალხარისხოვანი ჩაის ფოთლის კრეფისა და დამზადების ასეთი მაღალი დონე მიღწეულია ქართველ მეჩაიეთა კეთილსინდისიერი შრომით, პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების ყოველდღიური ორგანიზატორული და მასობრივ-პოლიტიკური მუშაობით.

ჩაის მრეწველობის მუშაკებმა უდანაკარგოდ მიიღეს და გადაამუშავეს მთელი მოკრეფილი ნედლეული. ისინი წარმატებით იყენებენ მოწინავე ტექნიკასა და პროგრესულ ტექნოლოგიას, განუწყვეტლივ აუმჯობესებენ ქართული ჩაის ხარისხს და სახელს უხვეჭენ მას მთელ მსოფლიოში. **მეჩაიეთა შრომითი გმირობა საქართველოს სოფლის მეურნეობის ყველა მშრომელის მიბაძვის ღირსია. ჩვენი მეჩაიეების ეს დიდი გამარჯვება მოგვიწოდებს ახალი წარმატებებისათვის საბრძოლველად.** მეჩაიეობის ყველა რაიონსა და მეურნეობას განზრახული აქვს წლიური გეგმის გადამეტებით მოკრიფონ და სახელმწიფოს ჩააბარონ მაღალხარისხოვანი ჩაის ფოთოლი მნიშვნელოვანი რაოდენობით.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მშრომელები, რომლებიც მჭიდროდ არიან შეკავშირებულნი მშობლიური კომუნისტური პარტიისა და მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტის გარშემო, თავდადებით შრომობენ მეჩაიეთა მხარდამხარ იმისათვის, რომ წარმატებით დაამთავრონ ახლანდელი სამეურნეო წელი, მთლიანად და გადაჭარბებით შეასრულონ მარცვლის, ყურძნის, ხილის, აბრეშუმის პარკის, ხორცის, რძისა და სხვა პროდუქტების დამზადების გეგმები და მაღალი მაჩვენებლებით ღირსეულად შეხვდნენ საბჭოთა ხელისუფლების 50 წლისთავს. (საქინფორმი).









ჩაის ფოთლის სიუხვისათვის ბრძოლის პირველი ეტაპი გამარჯვებით დაგვირგვინდა. დღეს ჩვენი მეჩაიეების სასახელო შრომის ამბავი საქვეყნოდ ცნობილი გახდა. ეს დიდი გამარჯვება იჭედებოდა აჭარის, აფხაზეთის, მახარაძის, ზუგდიდის, წალენჯიხის, ლანჩხუთის, გეგეჭკორის, ჩხოროწყუს და სხვა რაიონების ჩაის ხავერდოვან პლანტაციებში.

„მწვანე ოქროს" სიუხვის სახელმოხვეჭილ ოსტატებს მხარი გაუსწორეს ჩვენმა ახალგაზრდა მეჩაიეებმა, იმათ ვინც იბეჯითა და მეცნიერების მიღწევები, მოწინავეთა გამოცდილება საკუთარ პლანტაციებში გადაიტანეს, შრომა არ დაიზარეს და მთელი მონდომებით იბრძოდნენ გამარჯვების მოპოვებისათვის.

**ნანული დოლიძე** (სურათზე მარცხნივ ზევით) მახარაძის რაიონის ასკანის კოლმეურნეობის კომუნისტური შრომის რგოლის წევრია. იგი ყოველდღიურად 50-70 კილოგრამ ფოთოლს კრეფს; **ნონა ჯიშკარიანი** (სურათზე მარჯვნივ ზევით) ზუგდიდის რაიონის ზედა ეწერის პლანტაციებში კრეფს ჩაის ფოთოლს და ყოველდღიურ დავალებას ორმაგად ასრულებს; ტყუპები **ნანული** და **ნაზი ჯაფარიძეები** (სურათზე მარჯვნივ შუაში) ქობულეთის რაიონის ალამბრის კოლმეურნეობაში მუშაობენ. მათ ჩაის ფოთლის კრეფის წლიური დავალება სამმაგად შეასრულეს; **ზ. კესიანმა** (სურათზე მარჯვნივ ქვევით) გულრიფშის რაიონის დრანდის კოლმეურნეობაში პირველმა გაანაღდა წლიური გეგმა. ახლა იგი გეგმის გადამეტებით კრეფს ჩაის ფოთოლს.

გეგმა შესრულდა, პირველი გამარჯვება მოპოვებულია, მაგრამ ახალგაზრდა მეჩაიეები რესპუბლიკის ყველა მეჩაიესთან ერთად ამბობენ: წინ ახალი ზღუდეებია ასაღები, ჩაის ფოთლის კრეფა გრძელდება!

ფოტო შ. ჩხეტიანისა, ო. თოფურიასი, ი. ნანიკაშვილისა და ს. კოროტკოვისა.

## პრეზიდენტია საბჭოთა მეცნიერი

კიევი, 18 აგვისტო. (საკდესის კორ.). მეფრინველეთა მსოფლიო სამეცნიერო ასოციაციის საბჭომ მეფრინველეთა მსოფლიო სამეცნიერო ასოციაციის პრეზიდენტად აირჩია საბჭოთა მეცნიერი, ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ე. ე. პენიონჟკევიჩი.

## ურყევი სოლიდარობა

მოსკოვი, 17 აგვისტო. (საკდესი). მოსკოვის საზოგადოებრიობის წარმომადგენლებმა ყველა საბჭოთა ადამიანის სახელით მოითხოვეს გერმანიის კომუნისტური პარტიის აკრძალვის გაუქმება. ვ. პ. ჩკალოვის სახელობის კულტურის სახლში გამართული ხალხმრავალი კრების მონაწილენი მხურვალედ მიესალმნენ გერმანიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატსა და ცენტრალური კომიტეტის მდივანს ჰერბერტ მისს.

კრება გახსნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრმა, მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის დირექტორმა პ. ნ. პოსპელოვმა.

მოხსენება გააკეთა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილემ საბჭოთა კავშირის გმირმა ა. პ. კოსიცინმა. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ გადაწყვეტილება გერმანიის კომუნისტური პარტიის აკრძალვის შესახებ, რომელიც ათი წლის წინათ მიიღო გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კონსტიტუციურმა სასამართლომ, დემოკრატიისა და კანონიერების ელემენტარული პრინციპების უხეში დარღვევა იყო.

შეკრებილნი მქუხარე ტაშით შეხვდნენ ჰერბერტ მისის გამოსვლას, რომელმაც საბჭოთა ხალხს მხურვალე სალამი გადასცა გერმანიის კომუნისტური პარტიის სახელით.

## საპატიო სტუმარი

17 აგვისტოს მოსკოვში სკკპ ცენტრალური კომიტეტის მოწვევით დასასვენებლად ჩამოვიდა ამერიკის შეერთებული შტატების კომუნისტური პარტიის გენერალური მდივანი გეს ჰოლი.

◆

## მეფრინველეობის გამოფენა

კიევი, 17 აგვისტო. (საკდესი). მეფრინველეობის საერთაშორისო გამოფენაზე დღეს აღინიშნა პოლონეთის სახალხო რესპუბლიკისა და კანადის ეროვნული დღეები.

ამ ქვეყნების მეფრინველეებმა მოაწყეს პრეს-კონფერენცია.

მუშაობას განაგრძობს მეფრინველეობის საკითხებისადმი მიძღვნილი XIII მსოფლიო კონგრესი.

## ჩვენი ღიაღ სპარტაკიადა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მარჯვენა დაგვილოცოთ, სახელოვანო მეჩაიეებო!

## თავდადებული შრომით

საქართველოს სახელმწიფო დროშა მეორე ლენინის ორდენით რომ დამშვენდა, სწორედ იმ საზეიმო დღეებში აჭარის მეჩაიეებმა სამშობლოს, პარტიას, ხალხს პირობა მისცეს, რომ ახალი ხუთწლედის პირველ წელს დიდ წარმატებას მიაღწევდნენ. როგორც ყოველთვის, ამჯერადაც აჭარელ მეჩაიეთა სიტყვა და საქმე ერთია. აი ჩვენი პატაკი სამშობლოსადმი: 18 აგვისტოსათვის ნაცვლად 31.780 ტონისა მოკრეფილია 31.802 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი. მოკრეფილი ნედლეულის 70 პროცენტი პირველი ხარისხისაა. ჰექტარზე საშუალოდ მიღებულია 5.020 კილოგრამი ნედლეული.

ჩაქვი ქართული ჩაის აკვანია. პირველად აქ გაიდგა ფესვი ჩაის ბუჩქმა. ეს იყო თითქმის ერთი საუკუნის წინათ. ჩაის ბუჩქებით დაიფარა აჭარაგურიის, სამეგრელოს, აფხაზეთის გორაკები, ვაკეები. ჩაის ბუჩქმა იმერეთისკენაც გაიკვალა გზა.

ყოველივე ეს დიდი პასუხისმგებლობის წინაშე გვაყენებს. ამიტომ არის, რომ მეჩაიეობის განვითარების ძირეული საკითხები მუდამ ყურადღების ცენტრში გვაქვს. მეჩაიეობის საჭირბოროტო საკითხებზე ვმსჯელობთ პარტიის საოლქო კომიტეტის პლენუმებზე, ბიუროს სხდომებზე. დიდი ყურადღებით ეკიდებიან ამ საქმეს აგრეთვე პარტიის რაიკომები, რაისაბჭოს აღმასკომები, სოფლის მეურნეობის სამმართველოები, სპეციალისტები, მეჩაიეები, ყველა, ვისთვისაც ძვირფასია ქართული ჩაის სახელი და ღირსება.

აჭარის მეჩაიეები წინა წლებშიც დროულად ასრულებდნენ ჩაის ფოთლის კრეფის გეგმებს. ასეა ამჟამადაც. წინა წლებისაგან განსხვავებით ახალი ხუთწლედის პირველ წელს უფრო მეტ ყურადღებას ვაქცევთ ნედლეულის ხარისხს. მეტი და მაღალხარისხოვანი ქართული ჩაი — სამშობლოს! ამ დევიზით შრომობენ ჩვენი მეჩაიეები და დიდ წარმატებასაც აღწევენ. ეს ახალი გამარჯვება მოპოვებულია მეჩაიეთა ენერგიული, მონდომებული შრომით.

ქობულეთის რაიონს ჩვენთან ჩაის ფოთლის ნედლეულის დამზადების საქმეში პირველი სიტყვა ეკუთვნის.

**ა. თხილაიშვილი,**
საქართველოს კპ აჭარის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი.

◆

ქობულეთელებმა მოკრიფეს და ჩაის ფაბრიკებს ჩააბარეს 22.224 ტონა „მწვანე ოქრო“. ჰექტარზე საშუალოდ მიღებულია 5.200 კილოგრამი ნედლეული, ქობულეთის რაიონიდან ბევრმა კოლმეურნეობამ, საბჭოთა მეურნეობამ და მეჩაიემ ისახელა თავი. მათ შორის პირველ რიგში უნდა დავასახელოთ ბობოყვათის, დაგვის, ხუცუბნის, ახალი სოფლის, აჭის, აჭყვისთავის კოლმეურნეობები, ოჩხამურის საბჭოთა მეურნეობა.

ბათუმის რაიონის მეჩაიეებმა წელს პირველებმა შეასრულეს ხარისხოვანი ჩაის ფოთლის დამზადების წლიური გეგმა. ნაცვლად 9.458 ტონისა მოკრეფილია 9.187 ტონა ნედლეული. ჰექტარზე საშუალოდ მიღებულია 4.910 კილოგრამი ჩაის ფოთოლი. ბევრმა საზოგადოებრივმა მეურნეობამ, ბრიგადამ, რგოლმა და მეჩაიემ ისახელა თავი. აღსანიშნავია გონიოს, სარფის, ახალშენისა და ჩაისუბნის კოლმეურნეობების, სალიბაურის ჩაის საბჭოთა მეურნეობის მეჩაიეთა ნაყოფიერი შრომა.

მაღალხარისხოვანი ნედლეული ასევე მაღალხარისხოვნად უნდა გადამუშავდეს, რომ საუკეთესო, არომატული ჩაი მივიღოთ. ეს კარგად იციან ჩაქვის, ხელვაჩაურის, ბათუმის, სალიბაურის ჩაის ფაბრიკების სპეციალისტებმა, მუშებმა და თავდადებითაც შრომობენ იმისათვის, რომ მათ მიერ გამოშვებული პროდუქცია საბჭოთა და საზღვარგარეთელ მომხმარებლებში კმაყოფილებას იწვევდეს.

ხუთწლედის პირველი წლის უხვი მოსავლისათვის ბრძოლა იოლი გზით როდი მიმდინარეობდა. ჩაის პლანტაციებში აგროწესებით გათვალისწინებული სამუშაოები დიდ შრომას მოითხოვს. ჩვენმა მეჩაიეებმა შრომის გმირული მაგალითები გვიჩვენეს, ყოველივე სიძნელე დასძლიეს და ახალი დიდი გამარჯვება მოიპოვეს.

გეგმა შესრულდა, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ჩაის პლანტაციებში მუშაობა დამთავრდა. ჩაის ფოთოლი საკმაოდ არის საკრეფი. ჩვენი მეჩაიეები დარსა და ავდარში კვლავ თავდადებით შრომობენ, რომ სამშობლოს მისცენ რაც შეიძლება მეტი და მაღალხარისხოვანი ჩაის ნედლეული.

## ოქროს რგოლი

ამ ოთხიოდე წლის წინათ ჩვენთან, ქალაქ წულუკიძის წულუკიძის სახელობის კოლმეურნეობაში კომკავშირულ-ახალგაზრდული რგოლი შეიქმნა. შექმნის დღიდან ამ რგოლს მე ვხელმძღვანელობ. მოსავლელად 3,5 ჰექტარი ჩაის პლანტაცია გვაქვს.

წელს წინა წლებთან შედარებით საგრძნობლად გავადიდეთ მოსავლიანობა. გადავწყვიტეთ გეგმით გათვალისწინებული 20 ტონის ნაცვლად მოგვეკრიფა 33 ტონა. ეს ვალდებულება ვადამდე გავანაღდეთ. უკვე მოკრეფილია 35 ტონამდე ჩაის ნედლეული.

სეზონის ბოლომდე კიდევ მოვკრეფთ 5 ტონა ჩაის ფოთოლს.

**დალი წივწივაძე,**
რგოლის ხელმძღვანელი, სოციალისტური შრომის გმირი.



## მუხურის პლანტაციებში

გალის რაიონის მეჩაიეებმა ჩაის ფოთლის კრეფის წლიური გეგმა წარმატებით შეასრულეს. ამაში გარკვეული როლი სამუშაოთა მექანიზაციამაც შეასრულა. მე და ჩემმა თანაშემწემ ჯემალ ფაჩულიამ დღემდე ერთი მანქანით 32 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი მოვკრიფეთ. სეზონის დამთავრებამდე ჩაის ფოთლის საკრეფ მანქანას „საქართველოს“ მაღალნაყოფიერად ვამუშავებთ და უფრო მეტ ფოთოლს მოვკრეფთ.

**ს. გასაშვილი,**
გალის რაიონის მუხურის ჯგუბურიას სახელობის კოლმეურნეობის მექანიზატორი.

სურათზე: მექანიზატორი ს. გასაშვილი პლანტაციაში.

ფოტო ს. კოროტკოვისა.

## მკლავმოუღლელი

სოფელში მივედით. ვიკითხეთ გუგუშა ჭითანავას სახლ-კარი. მწვანე ნარგავებში ჩამდგარი კოპწია სახლი გვანიშნეს. ჭიშკართან შემოგვეგება ოდნავ წელში მოხრილი 70 წელს მიღწეული ოჯახის უფროსი ისიდორე ჭითანავა.

მობრძანდით, შვილებო, მობრძანდით! სახლში არავინ ჩანდა. მოხუცი ოდა-სახლისაკენ გაგვიძღვა, მარდად ავიდა ოდა-სახლის კიბეზე, რომ ჩვენთვის სკამები გამოეტანა. იგი ამჟამად პენსიონერია, მაგრამ შეძლებისდაგვარად მუშაობს ჩაის პლანტაციებში, სოფლის მომავალზე ზრუნავს, გვერდში უდგას თავკაცებს. მისმა მეუღლემ ანეტამ მთელი თავისი სიცოცხლე სოფლის ბედნიერებას შესწირა. ისიდორეს და ანეტას ექვსი შვილი ჰყავთ, მათი ოჯახის წევრებიც სოფლის სამსახურში არიან, მეურნეობის სხვადასხვა უბნებზე მუშაობენ...

ჩვენ გუგუშას შეხვედრა გვაინტერესებდა. აბა ასეთ კარგ ამინდში რა გააჩერებს გუგუშას ოჯახში, — გვითხრა ისიდორემ. ჩვენც მეურნეობის ჩაის პლანტაციებისაკენ გავწიეთ. სწორედ აქ ზიდა ეწრის ფაქიზად მოვლილ პლანტაციებში ვნახეთ გუგუშა ჭითანავა. იგი ჯადოქარივით ტრიალებდა ბუჩქებს შორის.

უანგარო შრომამ მოუხვეჭა სახელი გუგუშა ჭითანავას. იგი 25 წელზე მეტია მზრუნველობს პლანტაციებს. ამ ხნის განმავლობაში ასობით ტონა „მწვანე ოქრო“ მისცა სამშობლოს. სოციალისტური შრომის გმირის წოდებაც თავდადებული შრომით მოიპოვა.

ისევე როგორც ყოველთვის, შარშანაც გუგუშა ჭითანავამ თავი ისახელა ჩაის მოსავლიანობის სიუხვით. 0,5 ჰექტარზე 8 ტონა და 50 კილოგრამი ჩაის ფოთოლი მიიღო ნაცვლად 5 ტონისა. წელს კი ამ მაჩვენებელს 300 კილოგრამით გადააჭარბა. წლის ბოლომდე უფრო მეტი იქნება.

ბევრი ნოვატორი მუშაობს მეურნეობაში, მაგრამ შუქურებს შორის პირველი ვარსკვლავი გუგუშა ჭითანავა გახლავთ, — განაცხადა საუბარში მეურნეობის დირექტორმა.

გუგუშა ჭითანავამ ბავშვობიდანვე მიიპყრო ყურადღება. მრავალშვილიან დედას სკოლის დამთავრებისთანავე გვერდში ედგა და შრომას უმსუბუქებდა. გავიდა წლები. იგი გაიზარდა, კომკავშირელი გახდა. მალე მერგოლურად დააწინაურეს. აქაც ისახელა თავი. რგოლი არა მარტო კოლმეურნეობაში, არამედ რაიონის გარეთაც საკმაოდ ცნობილი გახდა. 1943 წელს რგოლს, რომელსაც გუგუშა ჭითანავა ხელმძღვანელობდა, უხვი მოსავლისათვის გადაეცა საკ. ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა. ეს დროშა რგოლმა 1944 და 1945 წლებშიც შეინარჩუნა. მის შემდეგ დროშა მუდმივად დარჩა რგოლში.

გუგუშა ჭითანავა სასოფლო და ზუგდიდის რაიონული საბჭოს მრავალგზის დეპუტატია. იგი 1944 წელს დაჯილდოვდა შრომის წითელი დროშის ორდენით, 1949 წელს — ლენინის ორდენით. მის მკერდს ამშვენებს აგრეთვე მედლები, ახლა კი ხუთქიმიანი ოქროს ვარსკვლავი.

**გ. ნოდია,**
„კომუნისტის“ საკ. კორ.

## ჩხოროწყუელთა ღვაწლი

რაიონის მეჩაიეები სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლითა და შრომით აღწევენ გამარჯვებას. თავდადებული და შემოქმედებითი შრომის შედეგია, რომ რაიონის მეჩაიეებმა 18 აგვისტოსათვის, ვადაზე ადრე, შეასრულეს ხარისხოვანი ჩაის ფოთლის კრეფის წლიური დავალება. სახელმწიფოს მიეყიდა 8.250 ტონა ჩაის მწვანე ფოთოლი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 8.220 ტონისა. ეს შარშანდელზე 2.316 ტონით მეტია. საშუალოდ ჰექტარზე მიღებულია 3.725 კილოგრამი ჩაის ნედლეული, ნაცვლად 1965 წელს მიღებული 3.622 კილოგრამისა.

„მწვანე ოქროს“ უხვი მოსავლის მისაღებად გაჩაღებულ ლაშქრობაში განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი ნაფიჩხოვოს მარქსის სახელობის, პირველი ჭოლის, მუხურის რუსთაველის სახელობის, ხაბუმის ლენინის და კალინინის სახელობის, ნაკიანის, კირცხის XX პარტყრილობის, ჩხოროწყუს ლენინის სახელობის და ლეწურწუმის კოლმეურნეობებმა. მათ დიდი გადაჭარბებით შეასრულეს ხარისხოვანი ჩაის ფოთლის კრეფის წლიური დავალებები.

ხაბუმის ლენინის სახელობის კოლმეურნეობამ სახელმწიფოს მიჰყიდა 912 ტონა ჩაის მწვანე ფოთოლი ნაცვლად 894 ტონისა; ამავე სოფლის კალინინის სახელობის კოლმეურნეობამ 712 ტონა ნედლეული მისცა სამშობლოს. საუკეთესო შედეგს მიაღწია ნოვატორმა მეჩაიემ სოციალისტური შრომის გმირმა ნათელა შენგელიამ. მან 10 ტონაზე მეტი ჩაის მწვანე ფოთოლი ჩააბარა დამამზადებელ პუნქტს. ასეთივე მაღალი მაჩვენებლები აქვთ მოპოვებული რაიონის ცალკეულ კომუნისტებს ლენინის ორდენოსან ეთერ ცირამუას, ლუნა პაპასქირს, ეთერ შენგელიას, ნაზი შენგელიას და სხვებს.

შრომის სასახელო მაჩვენებელი გვიჩვენა ჩვენმა მოსწავლე ახალგაზრდობამ. ბევრმა მათგანმა წარჩინებულ სწავლასთან ერთად 2-3 ტონამდე ჩაის ფოთოლი მოკრიფა.

ჩაის ხარისხოვანი ნედლეულის მიღება-გადამუშავება დროზე უზრუნველყვეს ჩაის ფაბრიკებმა.

რაიონის მეჩაიეთა ერთსულოვანი გადაწყვეტილებაა სეზონის ბოლომდე დამატებით კიდევ მოკრიფონ ასეულობით ტონა მაღალხარისხოვანი ჩაის ფოთოლი და საშუალოდ ჰექტარზე (მოსავლიანი პლანტაციიდან) მიიღონ 4.100 კილოგრამი ნედლეული.

**დ. ჯიჯელავა,**
საქართველოს კპ ჩხოროწყუს რაიკომის პირველი მდივანი.

• • •



სურათზე: ჩხოროწყუს რაიონის ხაბუმის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის მეჩაიე რაისა შენგელია, რომელიც საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ წარმატებით მუშაობს ჩაის ფოთლის კრეფაზე. მან წელს უკვე მოკრიფა 3.500 კილოგრამი ფოთოლი.

## ბრიგადა წინა ხაზზე

ჩვენი ბრიგადის მეჩაიეები სეზონის დაწყების პირველი დღეებიდანვე ენერგიულად შრომობენ „მწვანე ოქროს“ ხვავისა და ბარაქისათვის. სასახელო მუშაობის შედეგად მოვიპოვეთ ახალი გამარჯვება. კარგა ხნით ადრე შევასრულეთ ჩაის ფოთლის დამზადების წლიური დავალება, წარმოებას ჩავაბარეთ 40 ტონაზე მეტი ჩაის ფოთოლი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 37 ტონისა.

ახლა ბრიგადა იმისათვის იბრძვის, რომ სეზონში გეგმის გადამეტებით მოკრიფოს სულ ცოტა 10 ტონა ჩაის ფოთოლი.

**ვლ. სალია,**
ჩოხატაურის რაიონის ხიდისთავის კოლმეურნეობის ბრიგადირი.

## ტემპი მატულობს

წყალტუბოელმა მეჩაიეებმა შესანიშნავი ტრადიცია დაამკვიდრეს. უკანასკნელ წლებში ზედიზედ, ვადაზე დიდი ხნით ადრე გადაჭარბებით ასრულებენ სახელმწიფო გეგმებს.

წელს წყალტუბოელმა მეჩაიეებმა ყველაზე ადრე შეასრულეს ჩაის ფოთლის კრეფის წლიური გეგმა.

როცა რესპუბლიკის მეჩაიეები მეტი ჩაისათვის ლაშქრობაში ჩაებნენ, წყალტუბოელებმა იკისრეს გეგმით გათვალისწინებული 4.240 ტონის ნაცვლად მოეკრიფათ 4.500 ტონა. მეჩაიეთა თავდადებულმა შრომამ უზრუნველყო გეგმის ვადამდე შესრულება და მათ ახალი ვალდებულება იკისრეს, რაც 1.000 ტონა ნედლეულის მოკრეფას ითვალისწინებდა.

სასიხარულოა, რომ წყალტუბოელები მტკიცედ ასრულებენ სიტყვას. 18 აგვისტოსათვის მათ მოკრეფილი ჰქონდათ 5.350 ტონა ნედლეული. ეს იმას ნიშნავს, რომ ვალდებულებაც განაღდებულია და წლიური გეგმის გადამეტებით უკვე მოკრეფილია 1.000 ტონაზე მეტი. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით მოკრეფილია 1.659 ტონით მეტი. გეგმის გადამეტებით კიდევ იქნება ასეულობით ტონა ნედლეული.

წლიური გეგმის შესრულების შემდეგ პლანტაციებში არ შენელებულა მუშაობის ტემპი. ახლა ყველა კოლმეურნეობა ნედლეულს ვალდებულების ანგარიშში კრეფს. ეს წარმატებები მოპოვებულია იმით, რომ ამ დიდ ლაშქრობას სათავეში ჩაუდგნენ რაიონის პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციები, სპეციალისტები.

ჩაის ფოთლის სიუხვისათვის ბრძოლაში განსაკუთრებით ისახელეს თავი ცხუნკურის, რიონის, სორმონის, მაღლაკის, გუმათის, გუმბრისა და ქვილიშორის კოლმეურნეობებმა. გვიშტიბის მარქსის სახელობის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი შ. ჩავჩიძე) ნაკისრი ვალდებულება ვადამდე გაანაღდეს. აქ 380 ტონის ნაცვლად მოკრიფეს 491 ტონა ნედლეული. ცხუნკურის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე ი. ჯიმშელეიშვილი) 245 ტონის ნაცვლად 342 ტონა ჩაის ფოთოლი მოკრიფა.

მდიდარი ჰექტარებისათვის ბრძოლაში წინა ხაზზეა სოფელ რიონის კოლმეურნეობა (თავმჯდომარე ზ. ტურაბელიძე), რომელმაც 380 ტონის ნაცვლად მოკრიფა 478 ტონა ნედლეული და საშუალო მოსავლიანობა ჰექტარზე 5 ტონამდე აიყვანა.

სეზონში ასობით მეჩაიემ ისახელა თავი. რიონის კოლმეურნეობის მეჩაიემ, სოციალისტური შრომის გმირმა ანეტა ხურციძემ 9 ტონაზე მეტი ჩაის ფოთოლი მოკრიფა. ათ-ათი ტონა ნედლეული მოკრიფეს გუმბრელმა ოლია უშვერიძემ, ქვილიშორელმა ქსენია კუხალაშვილმა. მათ მხარს უსწორებენ მაღლაკელი მეჩაიე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი მარგო დოლაბერიძე, ცხუნკურელი შურა ჯიმშელეიშვილი.

**შ. ჯავახაძე,**
„კომუნისტის“ საკ. კორ.

• ღერილები შრომის გმირებზე

## კარგი კაცის საქმეები

ჩვენი რესპუბლიკის მეურნეობებს შორის ლაითურის გიგანტი — ჩაის საბჭოთა მეურნეობა ერთ-ერთი მძლავრი მეურნეობაა. მისი ფართობი 1.500 ჰექტარია. აქედან 1.028 ჰექტარი ჩაის პლანტაციებს უჭირავს, 15 ჰექტარი — ციტრუსებს, 162 ჰექტარი ტუნგოს, 30 ჰექტარი — ვენახს, 45 ჰექტარი — ბამბუკს, 7 ჰექტარი დაფნას, 18 ჰექტარი — ხეხილის ბაღს. ლარივით სწორი ჩაის მწკრივებით მოხატული პლანტაციები აქა-იქ გადასერილია მოასფალტებული გზებით, რომლებსაც მარჯვნივ და მარცხნივ მწვანე კედლებად აკრავს კრიპტომერიისა და ნაძვის, ფიჭვისა და კედრის მარად მწვანე მცენარეები. ეს ქარსაცავი ზოლებია.

ლაითურს აღმოსავლეთით ნარუჯის მეურნეობა ესაზღვრება, დასავლეთით ორიოდე კილომეტრზე შავი ზღვა აკრავს, სამხრეთით მდინარე ჩოლოქი ჩამოუდის, ჩრდილოეთით კი მდინარე ნატანების ანკარა წყალი ეკვრის. ასე, რომ წელიწადის რომელ თვეშიც უნდა იხილოთ, ყოველთვის საუცხოო სანახავია მისი ბაღ-პლანტაციები.

კაცმა რომ თქვას, არც ისე დიდი ხნის ისტორია აქვს ამ მეურნეობას. 35 წლის წინათ აქ გაუვალი ტყე იყო, რომელი ტყის ნადირი არ ბინადრობდა აქ. ახლაც შემორჩა ლაითურში ასეთი სიმღერა:

...სადაც ცხოვრობდა მგელი და ტურა.
იქ გავაშენეთ ჩაის კულტურა...

აქ ბევრმა სახელოვანმა ადამიანმა არ დაიშურა თავისი ცრომა ჩაის პლანტაციების გასაშენებლად, ამ მძლავრი მეურნეობის მოსაწყობად, ერთი იმათთაგანი, ვინც ბევრი ღამე გატეხა მეურნეობის აღორძინებისათვის და თავს დასტრიალებდა ჩაის თვითეულ ბუჩქს, გახლავთ საქართველოს სსრ დამსახურებული აგრონომი, ამ მეურნეობის დირექტორი ვახტანგ ჭეიშვილი. შეიძლება ითქვას, რომ ამ კაცურმა კაცმა თავისი სიცოცხლის ყველაზე ძვირფასი დრო ლაითურის მეურნეობის წინსვლას მოახმარა. 30 წელზე მეტია, იგი ამ მეურნეობაში მუშაობს — ჯერ მთავარ აგრონომად, ხოლო ამ ბოლო 10-15 წლის მანძილზე დირექტორად!

შესცქერი ჭირსა თუ ლხინში გათეთრებულ ჭაღარა ვაჟკაცს და ჭეშმარიტად გწამს, რომ თქვენს წინაშეა საუკეთესო მოქალაქე, კომუნიზმის მშენებელი საბჭოთა ადამიანი!

ჩაის ფოთლის კრეფის სეზონის ცხარე დღეებში ვერ იცნობთ მას, დღედაღამ მოსვენება არა აქვს. ხუმრობა საქმე ხომ არ არის 3.000-4.000 მეჩაიის გაძღოლა. მაის-ივნისში არის დღეები, რომ მეურნეობაში 5.000 მკრეფავზე მეტიც მუშაობს. ეს ვახტანგმა თქვაო, რომ იტყვიან აგროგანყოფილებებში, საქმარისია, კანონის ძალა აქვს. უსამართლოდ არავის დასჯის, არც არავის დაუმსახურებელ პატივს სცემს. ეს კი არის, რომ ყველანი საკუთარი შვილივით უყვარს.

ამას წინათ მის კაბინეტში ვიყავით. ერთი ახალგაზრდა აგრონომი შემოვიდა, გვარად გაბუნია, ქუდი ხელში ეჭირა. — თქვენ ჩვენს აგროგანყოფილებაში ბრძანებულხართ, ვერ შეგვხვდით, — მორიდებულად მოახსენა დირექტორს.

— მუქთად ხომ არ მუშაობ, ამხანაგო გაბუნია? ხელფასს ხომ იღებ? — მოუბრუნდა და თავიდან ფეხებამდე ახედ-დახედა...

— ჰო! აბა მე შენ შეგატყობინებ, მოვდივარ და დამხვდით! არა, შვილო! ასე მუშაობა ვის გაუგია! შენ დღენიადაგ შენს უბანზე უნდა იყო. რა დააშავეს იმ მუშებმა, იქ ფიზიკურად რომ მუშაობენ, ოფლს ღვრიან, შენც მათთან ერთად უნდა იყო. უნებართვოდ მეურნეობიდან გასვლის ნება მე არა მაქვს! შენ რა განსხვავებული ვინმე ხარ!

აგრონომი თავის მართლებას მოჰყვა...

— არა! თავს კაცის მკვლელიც კი იმართლებს რითიმე, მაგრამ განა მხედველობაში მისაღებია! ახლა წადი, საქმეს მიხედე და ასეთი რამ არ გაიმეორო!

აგრონომი გავიდა...

— ცუღლუტია? — ვკითხები დირექტორს.

— რის ცუღლუტია, საუკეთესო ბიჭია, კარგი ახალგაზრდა!

— კი მაგრამ, ასე რომ „შეახურე“, როგორ გავიგოთ.

— აბა თუ დიდი დანაშაული ჩაიდინა, მერმე „შეხურება“ და დასჯა რას მოგვიტანს. ეს გაბუნია ახალბედა აგრონომი მოვიდა აქ, ცხოვრებას, შრომას, საზოგადოებას აქ გაეცნო და ეცნობა კიდევ. ახლა კიდევ უფრო დიდ აგროგანყოფილებაში გადაგვყავს, ვაწინაურებთ, № 6 აგროუბანზე, იქ აგრონომი ჭ. კვირჩილაძე მუშაობდა, კაი ბიჭი წამართვეს! თანასოფლელებმა მოითხოვეს, კოლმეურნეობის თავმჯდომარედ აირჩიეს, — სინანულით თქვა მან.

რამდენი ასეთი ერთი და ორი მაგალითი შეიძლება დავასახელოთ ამხ. ჭეიშვილის ხანგრძლივი მუშაობის პერიოდში. მან ბევრი ახალგაზრდა სპეციალისტი აღზარდა, დაავაჟკაცა.

ისიც საგულისხმოა, რომ ლაითურის მეურნეობის კოლექტივი მრავალეროვანია. აქ მუშაობენ რუსები, ქართველები, უკრაინელები, ბელორუსები, სომხები... ყველანი თავს ისე გრძნობენ, როგორც დიდ მეგობრულ ოჯახში.

ამ ამაგდარი კაცის შრომა სათანადოდ დააფასეს ჩვენმა პარტიამ, მთავრობამ. ჯერ კიდევ 1950 წელს ლენინის ორდენით დააჯილდოეს, აქვს ექვსი სხვადასხვა მედალი, რამდენიმე სიგელი. ამ რამდენიმე ხნის წინ ვახტანგ ჭეიშვილს სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიეკუთვნა. ეს დიდი ჯილდო მეურნეობის კოლექტივმა თავის საკუთრებად მიიჩნია. არა მარტო საყვარელ დირექტორს, ერთიმეორესაც კი ულოცავენ ამ გამარჯვებას.

საუკეთესო ოჯახის მამაა ვ. ჭეიშვილი. მისი მეუღლე ქსენია საქართველოს სსრ დამსახურებული ექიმია, ვაჟი რობერტი თბილისის მსუბუქი მრეწველობის საკვლევ ინსტიტუტში მუშაობს ტექნოლოგად, ქალიშვილი ნანული მეცნიერი-მუშაკია თბილისის ფიზიკის ინსტიტუტში.

ჩაის ფოთლის კრეფის გეგმის შესრულებას საზეიმო ვითარებაში შეხვდნენ ლაითურელი მეჩაიეები. წელს აქ 4.100 ტონა ჩაის ხარისხოვანი ფოთოლი უნდა მოეკრიფათ. გეგმა უკვე შესრულებულია.

ყოველ სტარტზეა 20 ჩაის საკრეფი მანქანა „საქართველო“. მეჩაიეები მომარაგებული არიან ჩაის საკრეფი კალათებით, საწვიმრებით.

მეურნეობაში ჯეროვანი ყურადღება ექცევა შრომატევად სამუშაოთა მექანიზაციას. აქ 17 კომპლექსური რგოლი მუშაობს. ქების ღირსია ვახტანგ სანაძის მექანიზატორული რგოლი, მექანიზატორები ნ. ანდრეევი, მ. გელაშვილი და სხვები.

ჩაის მაღალი მოსავალი მიიღეს მეურნეობის აგროგანყოფილებებმა, რომლებსაც აგრონომები გ. ნემსაძე, ლ. კილურაძე, ჯ. გაბუნია ხელმძღვანელობენ. უხვი მოსავლის ოსტატებმა ირა გორგოშიძემ, ნასტია გორბატენკომ 7-8 ტონა ჩაის ნედლეული მოკრიფეს.

ლაითურელები კვლავაც ისახელებენ თავს ახალ ხუთწლედში თავიანთ ნაცად, კარგ ხელმძღვანელთან ერთად.

**გ. ჩხაიძე.**

• • •

სურათზე: ჩაის ფოთლის მექანიზებული კრეფა მახარაძის რაიონის ლაითურის ჩაის საბჭოთა მეურნეობაში. წინა პლანზე მოწინავე მექანიზატორი ვახტანგ სანაძე, რომელიც ყოველდღიურ დავალებას ორმაგად ასრულებს.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

## სიტყვა და საქმე

მეჩაიეთა შრომის მატიანეში მუდამ ღირსსახსოვარი იქნება ხუთწლედის პირველი წელი. ასეთი დიდი წარმატება იმის შედეგია, რომ ჩვენმა მეჩაიეებმა თავიანთი ცოდნა, ენერგია არ დაზოგეს.

ცხაკაიას რაიონის პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციებმა, კომუნისტებმა სერიოზული მუშაობა გასწიეს ახალი წარმატებების მოსაპოვებლად. ხუთწლედის პირველ წელს რაიონში ყველა სახის გეგმა წარმატებით სრულდება. მეჩაიეებმა კი დიდად ისახელეს თავი. სეზონის დასაწყისში ვალდებულება იკისრეს გეგმის გადამეტებით მოეკრიფათ 500 ტონა ჩაის ფოთოლი. მაგრამ სახელოვანი მეჩაიეები ამას როდი დასჯერდნენ. ჩაის კრეფის წლიური გეგმა ჯერ კიდევ ივლისში შეასრულეს.

მაშინ რაიონის მეჩაიეებმა გადაწყვიტეს მოეკრიფათ 1.100 ტონა ზეგეგმითი ნედლეული. ეს ვალდებულებაც წარმატებით შესრულდა. მაგრამ მეჩაიეები ფიქრობენ კიდევ მოკრიფონ ასეულობით ტონა ჩაის ფოთოლი.

გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებაში დაწინაურდა უშაფათის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობა, რომელმაც წარმატებით გაანაღდა ნაკისრი ვალდებულება (კოლმეურნეობის თავმჯდომარე ბ. გოგინავა). მას 86 ჰექტარი ჩაის პლანტაცია აქვს და საშუალოდ ჰექტარზე უკვე მიიღო 6.500 კილოგრამი „მწვანე ოქრო“. ასევე გადაჭარბებით შეასრულა ნაკისრი ვალდებულება ეკის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე ლ. ყურაშვილი). დიდ წარმატებას მიაღწიეს ხორშელმა მეჩაიეებმა.

ახლა რაიონის მეჩაიეები, პარტიული, საბჭოთა, სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციები, კომუნისტები დარაზმული არიან ახალ წარმატებათა მოპოვებისათვის და პირობას იძლევიან სასახელოდ დაამთავრონ მიმდინარე სამეურნეო წელი, ყოველთვის იდგნენ მოწინავეთა რიგებში.

**გ. გიორგაძე.**



# საერთაშორისო ცხოვრება

## გაუქმდეს უკანონო აკრძალვა

[illegible]

## გაათავისუფლეს ხესუს ვილიეგასი

[illegible] ლტენის ცნობით, ათი დღის პატიმრობის შემდეგ გაათავისუფლეს კოლუმბიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ხესუს ვილიეგასი და სხვა ხელმძღვანელები: სელმირა კრუსი, კარლოს რომერო, ალფრედო კინტერო.

[illegible] რტია მოითხოვს აგრეთვე დაუყოვნებლივ გაათავისუფლონ და ამნისტიით უყონ ყველა კომუნისტსა და სხვა პოლიტიკურ პატიმრებს, რომელთა „ერთადერთი დანაშაული ის არის, რომ მოქმედებენ მშვიდობისა და დემოკრატიისათვის“.

## ჯონსონის განცხადება

[illegible] ფენტები ერთმანეთს შეხვდებიან, რათა დასახონ მომავალი წლების მოქმედების პროგრამა. ამერიკის შეერთებული შტატებისა და ამერიკის სხვა ქვეყნების მთავრობები შეიმუშავებენ მომავალი კონფერენციის დღის წესრიგს.

## ამერიკელებს სიმართლეს არ ეუბნებიან

[illegible] თუ რა ხდება სამხრეთაღმოსავლეთ აზიაში.

პირდაპირ გასაოცარია, რომ მთავრობა განაგრძობს ამერიკელი ხალხის ყალბ ინფორმირებას, როცა აცხადებს, რომ [illegible] ეჭვობს, რომ ინფორმაციის დიდ ნაწილს უშიშროების მოსაზრებებით კი არა პოლიტიკური მოსაზრებებით მალავენ“.

პულიცერის პრემიის ლაურეატმა და ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს ვიეტნა- [illegible] რმაციას აწვდიან მათ, სილვესტერმა მიუგო: „იცით რა, თუ გგონიათ, რომ რომელიმე ამერიკელი ხელმძღვანელი თქვენთვის სიმართლის თქმას აპირებს, მართლა სულელები ყოფილხართ“.

მართლაც რომ გულახდილი აღიარებაა და, როგორც იტყვიან, კომენტარებს არ საჭიროებს.

## ბრძოლა არ შეწყდება

[illegible] ონში.

განცხადებაში მოყვანილია ფაქტი ადენისა და სამხრეთ არაბეთის პროტექტორატის ინგლისელი უმაღლესი კომისრის ცდისა პატივცემულ მოქალაქეთა შორის გამოენახა ისეთი პირნი, რომლებიც დათანხმდებოდნენ ინგლისის მიერ შექმნილი ფედერალური საბჭოს წევრობაზე.

## საკდესის განცხადება

ამ ბოლო დროს საბერძნეთის მთელ რიგ გაზეთებში („ვიმა“, „კატიმერინი“) იბეჭდება ცნობები, თითქოს სსრ კავშირისა და იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის შეთანხმების შესაბამისად საბჭოთა კავშირიდან ქალაქ სკოპლეში ასახლებენ 6 ათას ბერძენს, უპირატესად კომუნისტებს, რათა შექმნან „დიდი მაკედონია“ ეგეოსის (საბერძნეთი) მაკედონიის ჩათვლით.

საკდესს დავალებული აქვს განაცხადოს, რომ საბერძნეთის გაზეთების ასეთი ცნობები უხეში მონაჭორია, საერთო არა აქვთ რა სინამდვილესთან და მათ ავრცელებენ რათა განაახლონ პროვოკაციული ლოზუნგი „ჩრდილოეთის მუქარის“ შესახებ და საზოგადოებრიობის ყურადღება ჩამოაშორონ საბერძნეთის ჩრდილოეთ საზღვრებთან ნატოს სამხედრო მანევრებს, რომლებიც აგვისტოს დამლევს არის დანიშნული.

## ფონ ჰასელი უნდა წავიდეს

**ბონი**, 17 აგვისტო. (საკდესი). გერმანიის პროფკავშირთა გაერთიანების ორგანომ გაზეთმა „ველტ დერ არბაიტმა“ მოითხოვა, რომ გადადგეს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ახლანდელი თავდაცვის მინისტრი ფონ ჰასელი.

მოწინავე სტატიაში — „ფონ ჰასელი უნდა წავიდეს“ — გაზეთი წერს, რაკი ფონ ჰასელს თვითონ ვერ გადაუწყვეტია გადადგომა უნდა ვაიძულოთ, რომ წავიდეს.

## ბოგოტის დეკლარაცია

ბოგოტა, 18 აგვისტო. (საკდესი). ლათინური ამერიკის ხუთმა ქვეყანამ ამერიკის კონტინენტის ქვეყნებს მოუწოდა შექმნან ფართო ეკონომიური გაერთიანება კულტურულ, სოციალურ-ეკონომიურ და პოლიტიკურ დარგებში პროგრესის მისაღწევად. ეს ნათქვამია „ბოგოტის“ დეკლარაციაში, რომელსაც ხელი მოაწერეს ვენესუელის, კოლუმბიის, ჩილის პრეზიდენტებმა და პერუსა და ეკვადორის პრეზიდენტთა წარმომადგენლებმა.

ბოგოტაში დამთავრებული „უმაღლეს დონეზე მცირე თათბირის“ მონაწილეებმა მოითხოვეს აგრეთვე ვიეტნამის ომის შეწყვეტა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განმტკიცება.

ლათინური ამერიკის ხუთი ქვეყნის ხელმძღვანელებმა კიდევ ერთხელ განაცხადეს, რომ მხარს უჭერენ „ჩაურევლობის პრინციპს, როგორც საერთაშორისო მასშტაბით თანაარსებობის საფუძველს და ამერიკის ქვეყნების ურთიერთობის ერთადერთ ნორმას“.

„ჩვენ კვლავ ხაზს ვუსვამთ, — ნათქვამია „ბოგოტის დეკლარაციაში“, — რომ სოლიდარობას ვუცხადებთ განვითარებისათვის მებრძოლ ყველა ხალხს და გამოვთქვამთ რწმენას, რომ მათ, და უფრო განვითარებულ ქვეყნებს შორის სამართლიანი ურთიერთობის მისაღწევად არსებითი ცვლილებანი უნდა განხორციელდეს საერთაშორისო ვაჭრობისა და დაფინანსების დარგში“.

## პიკეტები პორტ-ჩიკაგოში

**ნიუ-იორკი**, 18 აგვისტო. (საკდესი). გუშინ რამდენიმე ასეული დემონსტრანტი შეეცადა პორტ-ჩიკაგოს (კალიფორნიის შტატი) სამხედრო-საზღვაო ბაზის ტერიტორიაზე არ შეეშვა ვიეტნამში გასაგზავნად განკუთვნილი ნაპალმით დატვირთული სატვირთო მანქანები.

როცა მომაკვდინებელი ტვირთით დატვირთული მანქანები საწყობის კარს უახლოვდებოდნენ, დემონსტრანტები მიწაზე სხდებოდნენ და მანქანებს ბაზაში არ უშვებდნენ. საზღვაო ქვეითი ჯარის შეიარაღებულ ჯარისკაცებს ძალით გაჰყავდათ დემონსტრანტები გზიდან.



ახალი საბჭოთა ლაინერი „ალექსანდრე პუშკინი“, რომელიც თავის პირველ რეისშია, უკვე ეწვია ჰელსინკის, კოპენჰაგენს, ლონდონს, კვებეკსა და მონრეალს. ამ რეისით იხსნება საერთაშორისო საზღვაო სამგზავრო ხაზი ლენინგრადი-მონრეალი, რომელმაც ისტორიაში პირველად დააკავშირა ერთმანეთთან კანადა და საბჭოთა კავშირი.

სურათზე: „ალექსანდრე პუშკინი“ მონრეალის უბეში. ამ ქალაქში გაიმართება 1967 წლის მსოფლიო გამოფენა.

ფოტო იუპი—აას-ისა

## გაუშვეს სადგური „პიონერი-7“

**ნიუ-იორკი**, 17 აგვისტო. (საკდესი). დღეს ამერიკის შეერთებულ შტატებში მზისაკენ გაუშვეს საპლანეტათაშორისო კოსმოსური სადგური „პიონერი-7“. გაშვება მოხდა 11 საათსა და 20 წუთზე ადგილობრივი დროით კენედის კონცხიდან რაკეტა „დელტის“ მეშვეობით. სადგური 64 კილოგრამს იწონის. სადგურზე დადგმულია აპარატურა კოსმოსური სხივებისა და „მზის ქარის“ — იონიზებული გაზების ინტენსიური ნაკადების გამოსაკვლევად, რომლებიც დიდი სიჩქარით ვრცელდება მზისაგან რადიალურად.

„პიონერი-7“ უნდა გავიდეს მზის გარშემო ორბიტაზე დედამიწისა და მარსის ორბიტებს შორის. სადგურის აქტიური სამსახურის ნავარაუდევი ვადა სამი წელია.

## რაკეტა ააფეთქეს

**ნიუ-იორკი**, 17 აგვისტო. (საკდესი). საკონტინენტთაშორისო ბალისტიკური რაკეტა „მინიტმენ-1“ ააფეთქეს ჰაერში მალე გაშვების შემდეგ, როცა აღმოაჩინეს უწესივრობა.

როგორც დღეს იუნაიტედ პრეს ინტერნეშნლის სააგენტო იუწყება, რაკეტა გაშვებულია სამხედრო-საჰაერო ძალების ვანდენბერგის ბაზიდან (კალიფორნიის შტატი) წყნარ ოკეანეში მდებარე მიზნის მიმართულებით.

## ორი ათასამდე მიწისძვრის ბიძგი დღე-ღამეში

**ტოკიო**, 18 აგვისტო. (საკდესი). იაპონიის სეისმურმა სადგურებმა გუშინ დღე-ღამის განმავლობაში 1787 სხვადასხვა ძალის მიწისძვრის ბიძგი აღრიცხეს მაცუსიროს რაიონში (ნაგანოს პრეფექტურა). ერთ-ერთი მიწისძვრის ბიძგის ძალა 4 ბალს აღწევდა იაპონიაში მიღებული შვიდბალიანი სისტემით. ქალაქ მაცუსიროს რაიონში გასული წლის აგვისტოში დაწყებული ტექტონური აქტივობა შესამჩნევად შენელდა მიმდინარე წლის ზაფხულის პირველ თვეებში. მაგრამ 3 აგვისტოს, სწორედ ხონსიუს კუნძულის ცენტრალური ნაწილის ამ რაიონში ტექტონური აქტივობის წლისთავის დღეს, ქალაქი მაცუსირო შეაზანზარა 5-ბალიანმა მიწისძვრის ბიძგმა და ტექტონური აქტივობა ახალი ძალით განახლდა.

იაპონიის სეისმურმა სადგურებმა კვლავ ატეხეს განგაში. ისინი ქალაქ მაცუსიროს მოსახლეობას აფრთხილებენ, რომ უახლოეს ხანებში მოსალოდნელია ძლიერი დამანგრეველი მიწისძვრის ბიძგები.

# ხულიგნები არ უნდა შევიწყალოთ!

### საქართველოს სსრ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროს კოლეგიის გაფართოებული სხდომა

ჩვენი რესპუბლიკის მშრომელებმა მხურვალედ მოიწონეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილება დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ. ამას მოწმობს საქართველოს სსრ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროში მიღებული უამრავი წერილი, რომლებშიც ხაზგასმულია, რომ დიდი მნიშვნელობა აქვს ამ გადაწყვეტილებას, ნათქვამია, რომ საჭიროა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების ზუსტად დაცვა.

ამას წინათ თბილისში გაიმართა რესპუბლიკის საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროს კოლეგიის გაფართოებული სხდომა. ძერჟინსკის სახელობის კლუბის დარბაზში შეიკრიბნენ სამინისტროს კოლეგიის წევრები, სამმართველოთა და განყოფილებათა უფროსები, ადმინისტრაციულ ორგანოთა მუშაკები.

„საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მუშაკთა ამოცანაა განუხრელად შეასრულონ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილება „დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ“ — ასეთი სათაურით მოხსენება გააკეთა საქართველოს სსრ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მინისტრის პირველმა მოადგილემ ვ. ი. შადურმა.

1966 წლის 12 აგვისტოს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და რესპუბლიკის მთავრობამ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 23 ივნისის დადგენილების შესაბამისად მიიღეს დადგენილება „დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ“. ამ დადგენილებაში აღნიშნული ღონისძიებანი ითვალისწინებენ საბჭოთა ადამიანების ღირსების, სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და კანონიერი ინტერესების დაცვას სისხლისსამართლებრივი ელემენტების დანაშაულებრივი ხელყოფისაგან.

ჩვენს დროში — კომუნიზმის მშენებლობის პერიოდში — სრულიად შეუწყნარებელია, რომ ხულიგნები და ჩხუბისთავები უხეშად თელავდნენ მართლწესრიგს, ხელს უშლიდნენ მშრომელთა შემოქმედებით შრომას, დასვენებას და უფუჭებდნენ გუნებას. შეუწყნარებელია ისეთი მდგომარეობა, როცა ცალკეული თაღლითნი და არამზადანი მუქთახორულ ცხოვრებას ეწევიან სახალხო დოვლათის დატაცებით, სპეკულაციით, მექრთამეობითა და სხვა დანაშაულებრივი მოქმედებით. შანთით უნდა ამოვწვათ საქმოსნები, საშიში დამნაშავენი, რომლებიც საფუძველს ურყევენ ჩვენი სახელმწიფოს ეკონომიკას.

ჩვენს რესპუბლიკაში ბევრი რამ კეთდება დამნაშავეობის წინააღმდეგ საბრძოლველად. მაგრამ, დადგენილებაში სამართლიანად არის აღნიშნული სერიოზული ნაკლოვანებანი, რომლებიც ჯერ კიდევ გვხვდება საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ორგანოების საქმიანობაში, სამართალდარღვევის აცდენის, დანაშაულთა გამომჟღავნების, დამალულ დამნაშავეთა ძებნის, თავისუფლების აღკვეთის ადგილებში მსჯავრდადებულთა ხელახალი აღზრდის საქმეში. ხაზგასმულია, რომ საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცებაში საკმაო მონაწილეობას არ იღებენ პირველადი პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები, აგრეთვე საწარმოთა, მშენებლობათა, დაწესებულებათა და სასწავლებელთა ხელმძღვანელები. ბევრმა სახალხო რაზმეულმა ამ ბოლო დროს აგრეთვე შეამცირა აქტივობა მართლწესრიგის დარღვევათა აღსაკვეთად საზოგადოებრივ ადგილებში, ხულიგანთა და ჩხუბისთავთა ასალაგმად. მილიციის ორგანოები სუსტად უკავშირებენ თავიანთ საქმიანობას საზოგადოებრივ ორგანიზაციათა მეცადინეობას.

მომხსენებელმა მოიყვანა მიმდინარე წლის ოპერატიული ვითარების მონაცემები. წლის პირველ ნახევარში ჩვენს რესპუბლიკაში შემცირდა მძიმე დანაშაულთა რაოდენობა; შემცირდა ავაზაკური თავდასხმები, მოქალაქეთა პირადი ქონების გაძარცვა, სახელმწიფო ქონების ქურდობა.

დადებითი შედეგები მოიტანა ბავშვთა დამნაშავეობის ლიკვიდაციის ღონისძიებებმა. დამნაშავეობა არასრულწლოვანთა შორის მიმდინარე წლის პირველ ნახევარში შემცირდა. როცა დამნაშავეობაზე ვლაპარაკობთ, აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ დაპატიმრებულთა დიდი რაოდენობა 25 წლამდე ასაკის ახალგაზრდობაა, რომელიც საპატიმროში კი არ უნდა იჯდეს, არამედ უნდა სწავლობდეს, აშენებდეს, ოჯახს ეკიდებოდეს. აღშფოთებას იწვევს ლოთობის შემთხვევები გარკვეული კატეგორიის ახალგაზრდობაში. შეუწყნარებელია ისეთი მდგომარეობა, როცა ნახევარ წელიწადში მარტო თბილისის გამოსაფხიზლებელში მიყვანილია საშუალო სკოლის 80 მოსწავლე და 77 სტუდენტი.

ჩვენი გადაუდებელი ამოცანებია: ავლაგმოთ ხულიგნები და ჩხუბისთავები, აქტიურად ვებრძოლოთ საქმოსნებს, სოციალისტური საკუთრების დამტაცებლებს, მექრთამეებს, ბავშვთა და რეციდივისტთა დამნაშავეობას. სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილება ჩვენი ორგანოების ყურადღებას მიაპყრობს იმას, რომ უნდა გააძლიერონ ბრძოლა სწორედ ასეთ სისხლის სამართლის დანაშაულთა წინააღმდეგ.

პარტიისა და მთავრობის დადგენილებაში აღნიშნული სერიოზული ნაკლოვანებანი მთლიანად და სავსებით შეეხება საქართველოს სსრ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ორგანოებს და, კერძოდ, საქართველოს მილიციას. უნდა ვაღიაროთ, რომ ბევრი ორგანო ჩვენში ძველებურად მუშაობს, მათი ხელმძღვანელები კი ვერ ხედავენ ახალსა და მთავარს, ცუდად უწევენ კონტროლს ხელქვეითი მუშაკებს. განუწყვეტლივ უნდა განვამტკიცოთ და გავაფართოოთ კავშირი საზოგადოებრიობასთან. ყოველდღიურად უნდა სრულვყოთ მუშაობის მეთოდები მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა საფუძველზე. ხელმძღვანელი მუშაკები თვითონ აქტიურად უნდა ჩასწვდნენ საქმეს, მონაწილეობა მიიღონ დამნაშავეთა გამოვლინებასა და მხილებაში და პირადი მაგალითით აღზარდონ ხელქვეითი თანამშრომლები.

ყველამ კარგად იცის, რომ ხულიგნობა უსაზიზღრესი დანაშაულია, რომელიც ხელყოფს ადამიანის ღირსებას, ჯანმრთელობასა და სიცოცხლეს. ხულიგანი, როგორც წესი, პატივს არ სცემს საზოგადოებას, მოქალაქეთა კანონიერ ინტერესებს. აი ამიტომ ხულიგნობის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებას, პარტიისა და მთავრობის აზრით, განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაუთმონ არა მარტო ადმინისტრაციულმა ორგანოებმა, არამედ მთელმა ჩვენმა საზოგადოებრიობამაც.

განხორციელებულ ღონისძიებათა მიუხედავად, ხულიგნობის წინააღმდეგ ბრძოლას ჯერჯერობით არა აქვს საკმაოდ მწვავე და შეტევითი ხასიათი. მილიციისა და საგამომძიებლო ქვეგანყოფილებათა ზოგიერთი მუშაკი ჯეროვნად ვერ აფასებს ხულიგნობის საზოგადოებრივ საშიშროებას, იჩენს ლიბერალიზმს ჩხუბისთავებისადმი, თუმცა ხშირად ხულიგნობა ხდება მკვლელობის, სხეულის მძიმე დაშავებისა და სხვა დანაშაულთა საფუძველი. მილიციის მუშაკები და გამომძიებლები ყოველთვის როდი აღძრავენ ხოლმე დროზე საქმეს ხულიგნობის შესახებ, აჭიანურებენ ასეთ საქმეთა გამოძიების ვადებს და ამით ზოგჯერ შესაძლებლობას აძლევენ ხულიგნებს ჩაიდინონ კიდევ უფრო მძიმე დანაშაული.

მას შემდეგ, რაც ძალაში შევიდა ბრძანებულება ხულიგნობისათვის პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ, როგორც წესი ხულიგნობას მთვრალები სჩადიან. მაშასადამე ფხიზლები მიხვდნენ ჩვენს მოთხოვნებს და ახლა დაუნდობლად უნდა ვიბრძოლოთ ლოთობის წინააღმდეგ და ამ საქმეში აქტიურად გამოვიყენოთ უფლებები, რომლებიც მილიციის ორგანოებს მიენიჭათ. ხულიგნობის წინააღმდეგ უნდა იბრძოლონ არა მარტო მილიციის მუშაკებმა, არამედ აგრეთვე სახალხო რაზმეულების წევრებმა, რომლებსაც მოთმინებით უნდა ვასწავლოთ და სწორად გამოვიყენოთ. მუშების, მოსამსახურეების, კოლმეურნეების, მოსწავლეების ხულიგნობის, ლოთობისა და უღირსი ქცევის ყველა ფაქტი დროზე უნდა ვაცნობოთ საწარმოთა, მშენებლობათა, დაწესებულებათა, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების, სასწავლებლების ხელმძღვანელებს, რათა დამრღვევთა მიმართ მიიღონ ზემოქმედების საჭირო ღონისძიებანი. ხულიგნობის წინააღმდეგ ბრძოლა განუწყვეტლივ უნდა წარმოებდეს. ამ კეთილშობილურ საქმეში ჩვენს მეცადინეობას უნდა აძლიერებდეს მთელი საზოგადოებრიობის დახმარება და დიდი ორგანიზატორული მუშაობა.

უნდა ითქვას კიდევ ერთი რამ: დღემდე გავრცელებული იყო აზრი, რომ დაუსჯელი რჩება საქმოსანთა და კომბინატორთა დანაშაული. ეს აზრი მცდარია. ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიებათა განხორციელების შედეგად მხილებულია საქმოსანთა, დამტაცებელთა და მექრთამეთა ჯგუფი თბილისის მეოთხე ტრიკოტაჟის, ცხაკაიას ხაოიანი ქსოვილის ფაბრიკებსა და სხვა საწარმოებში, რაც მოწმობს, რომ მილიციის თანამშრომლებსა და საქართველოს სსრ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროს გამომძიებლებს აქვთ რეალური შესაძლებლობა წარმატებით იბრძოლონ სოციალისტური საკუთრების დამტაცებელთა წინააღმდეგ.

კოლეგიამ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია იმას, რომ საჭიროა ყველა ადმინისტრაციული ორგანოს — მილიციის, პროკურატურის, სასამართლოს მოქმედების კოორდინაცია, რათა ჯეროვნად მიმდინარეობდეს ძიება სამართალდამრღვევთა საქმეების გამო, სწორად იყენებდნენ კანონებს, ზუსტად დადგენილ ვადებში ხდებოდეს სამართლის აღსრულება.

მოხსენების გამო გამართულ კამათში მონაწილეობდნენ საქართველოს სსრ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროს, რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოსა და სხვა ორგანოების პასუხისმგებელი მუშაკები.

— დადგენილებაში ხაზგასმით აღნიშნულია, რომ უნდა გავაძლიეროთ ბრძოლა ხულიგნობის წინააღმდეგ, — თქვა სამინისტროს საგამოძიებო სამმართველოს უფროსმა გ. სოლორაშვილმა, — დღემდე ხულიგანი თითქმის დარწმუნებული იყო, რომ დაუსჯელი დარჩებოდა. დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ შევქმნათ საზოგადოებრივი აზრი: ხულიგანი ვერასოდეს ვერ აიცილებს თავიდან დამსახურებულ სასჯელს. ჩვენს პრაქტიკაში ხშირია შემთხვევები, როცა ჭიანურდება ვადა დანაშაულის ჩადენის მომენტიდან სისხლის სამართლის საქმის აღძვრამდე.

ქუთაისის მილიციის საქალაქო განყოფილების უფროსი გ. შალამბერიძე შეეხო საზოგადოებრიობის როლს ხულიგნობის წინააღმდეგ ბრძოლაში და დამსწრეთ უამბო ერთი შემთხვევა, რომელიც ქუთაისის ერთ-ერთ კინოთეატრში მოხდა ამას წინათ. კინოფილმის დემონსტრაციის დროს ხალხით სავსე მაყურებელთა დარბაზში სამი ხულიგანი შეიჭრა და მაყურებელთ შეურაცხყოფას აყენებდნენ. მაგრამ არავინ არც კი შეეცადა გაეძევებინა ხულიგნები დარბაზიდან. მხოლოდ მილიციის მუშაკთა ჩარევის შემდეგ დააოშმინეს თავგასული ვაჟბატონები.

გორის მილიციის საქალაქო განყოფილების უფროსმა ა. კუნელაურმა ილაპარაკა ღონისძიებებზე, რომლებიც ქალაქში ხორციელდება ხულიგნობის წინააღმდეგ საბრძოლველად. მილიციის მუშაკებმა გადაიღეს მოკლემეტრაჟიანი ფილმი ხულიგანთა მოქმედების შესახებ. ამ ფილმის დემონსტრაციას ქალაქის კინო-თეატრებში სეანსის დაწყების წინ, დადებითი შედეგი მოჰყვა. ქალაქში თვალსაჩინო ადგილას არის ხოლმე გამოკრული გამოუსწორებელ ჩხუბისთავთა ფოტოსურათები. რადიო-გადაცემები მოუთხრობენ მათი „ვაჟკაცობის“ ამბებს. ასეთი მუშაობის შედეგად გორში მკვეთრად შემცირდა ხულიგნობის შემთხვევები.

სამინისტროს სისხლისსამართლებრივი სამძებრო განყოფილების უფროსმა შ. ბატიაშვილმა მოიწონა ახალი ბრძანებულება. მან თქვა, რომ ახლა მილიციის მუშაკებს მეტი უფლებები აქვთ და არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ამ უფლებების ბოროტად გამოყენება და სოციალისტური კანონიერების დარღვევა.

მილიციისა და სასამართლო ორგანოების მუშაკთა მჭიდრო კონტაქტის ამოცანებს მიუძღვნა სიტყვა რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილემ ს. ქაჯაიამ.

თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის მილიციის სამმართველოს უფროსმა კ. კეთილაძემ, შეეხო რა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ბრძანებულებას ხულიგნობის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ, თქვა:

— ჩვენი ამოცანაა, რომ სამართალდარღვევის თითოეული ფაქტი სერიოზულად განიხილოს მშრომელთა კოლექტივებმა. თითოეულმა ხულიგანმა უნდა იგრძნოს პატიოსანი მშრომელების ზიზღი.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ადმინისტრაციულ ორგანოთა განყოფილების გამგის მოადგილემ მ. გვასალიამ აღნიშნა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს სოციალისტური კანონიერების დამრღვევთა წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებებს, რომლებსაც პარტია და მთავრობა ახორციელებენ. მან მოუწოდა ადმინისტრაციული ორგანოების მუშაკებს არ დაიშურონ ძალ-ღონე, იბრძოლონ ჩვენს საზოგადოებაში დამნაშავე ელემენტების ასალაგმად, შემოქმედებითად მოეკიდონ თავიანთ საქმეს.

საქართველოს სსრ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროს კოლეგიის გაფართოებული სხდომის მუშაობის შედეგები შეაჯამა მინისტრის პირველმა მოადგილემ ვ. შადურმა. (საქინფორმი).

### სხვათა ფურცლებზე

# ახალი რამ კენედის მოკვლის შესახებ

შვეიცარიის ყველაზე დიდი გამომცემლობა „შვაიცერ ფერლაგჰაუსი“ უშვებს გერმანული წარმოშობის ამერიკელი მწერლის იოაჰიმ იოსტინის წიგნს „სიმართლე კენედის მოკვლის შესახებ“. იმ საიდუმლოებისათვის, რომლითაც დღემდე მოცულია დალასში ჩადენილი დანაშაული, ფრიად დამახასიათებელია, რომ სენსაციური წიგნის ავტორი ციურიხის პოლიციამ დააპატიმრა და დაკითხვის შემდეგ ფსიქიატრიულ იზოლატორში გაგზავნა. მხოლოდ ნათესავთა ჩარევის მეოხებით იგი გამოუშვეს. მაგრამ პოლიციამ გასცა ორდერი მწერლის დასაპატიმრებლად, და იოსტენი იძულებული გახდა დაეტოვებინა შვეიცარია. „იმიტომ ხომ არ დააპატიმრეს იგი, — კითხულობს შვეიცარიის გაზეთი „ვუა უვრიერი“, — რომ მანაც იცის საშინელი სიმართლის ნაწილი?“.

□ □

თუ თქვენ იმ გამჭრიახ ადამიანთა რიცხვს ეკუთვნით, რომლებმაც თავიდანვე იგრძნეს, რომ კენედის მოკვლის საქმეში რაღაც „ყველაფერი ვერ არის რიგზე“, თქვენ უეჭველად მოისურვებთ წაიკითხოთ ეს წიგნი, თუნდაც ამის გულისათვის მოგიხდეთ ჯერ გერმანული ენა შეისწავლოთ. ვინაიდან საქმე ეხება ერთადერთ წიგნს სადმე გამოქვეყნებულ ყველა წიგნთაგან, რომელშიც არა მარტო ნაჩვენებია უორენის კომისიის მოხსენების აშკარა აბსურდულობა, აღმაშფოთებელი სიყალბე, მრავალი დამახინჯება და მიფუჩეჩებანი, აგრეთვე მთელი შეურიგებელი წინააღმდეგობანი, არამედ აგრეთვე წამოყენებულია სარწმუნო ვერსია იმის შესახებ, თუ ნამდვილად რა მოხდა დალასში 1963 წლის 22 ნოემბერს.

მართლაც, აი რა მოხდა იქ: ოსვალდი, ბნელი პიროვნება, მაგრამ კაცი, რომელსაც ბრალი არ მიუძღოდა იმ მკვლელობებში, რაც მას „თავს მოახვიეს“ დალასის პოლიციამ, გამოძიების ფედერალურმა ბიურომ და, დასასრულ, უორენის კომისიამ, იყო მხოლოდ წინასწარ დასახული განტევების ვაცი შეთქმულთა გავლენიანი ჯგუფისათვის, რომელთა თანამონაწილეებს ხელთ უპყრიათ ძალაუფლების მძლავრი ბერკეტები. მათ იცოდნენ, რომ როგორც კი მათი საზიზღარი საქმე გაკეთდებოდა, მათ აღარ ექნებოდათ ზღვევის შიში, ვინაიდან არსებითად კენედის მოკვლა იყო ჩინებულად ორგანიზებული პოლიტიკური დანაშაული, რომელიც იმგვარად იყო მოფიქრებული, რომ „ავტომატურად“ ითვალისწინებდა უშიშროების სრულ გარანტიას მკვლელებისა და მათი თანაშემწეებისათვის.

ავტორი ამ ნამდვილად შემაძრწუნებელი დასკვნისას ხმებს, ჭორებს ან „ვარაუდებს“ როდი ეყრდნობა. ბრალს რომ სდებს დალასის პოლიციას, გამოძიების ფედერალურ ბიუროს, ცენტრალურ სადაზვერვო სამმართველოს და მთელ რიგ მაღალი თანამდებობის პირებს. იგი თითქმის მთლიანად ეყრდნობა თვით უორენის კომისიის მოხსენებას და პროცესის მასალებს. თავისი წიგნის პირველ აბზაცში იგი წერს:

„უორენის კომისიამ, უეჭველია, შესანიშნავად იმუშავა. მას თავის განკარგულებაში ჰქონდა უმაგალითოდ მდიდარი, სენსაციური ინფორმაცია, რომელიც მანამდე ყურადღებიდან გამორჩათ მეთვალყურეებს, ვინაიდან მის შესახებ არაფერი არ იყო ნათქვამი იმ ცნობებში, რომლებიც უფრო ადრე მოხვდა პრესაში. მაგრამ ადამიანს, რომელიც კრიტიკულად შეისწავლის ამ მასალას და თავგზას არ აბნევინებს უორენის კომისიის წინასწარ შეკოწიწებულ დასკვნებს, არ შეიძლება თვალში არ ეცეს შემაძრწუნებელი ჭეშმარიტება: ოსვალდი დამნაშავე არ არის; იგი „შემცვლელი პირი“ გახდა ნამდვილ მკვლელთა ხელში. და მართლაც, უორენის კომისიის მოხსენების საფუძველზე მთელი სიცხადით წარმოგვიდგება კონტურები თითქმის დაუჯერებელი მზაკვრული შეთქმულებისა, რომელსაც ხელს უწყობდა „დიდი ფული“ და რომელიც ულმობლად იქნა მიყვანილი ბოლომდე. რა პარადოქსულადაც უნდა გაისმოდეს, ჭეშმარიტება ასეთია: უორენის კომისიამ, რომელმაც წარმატებით „გამოქექა“ მრავალი ფაქტი კენედის მოკვლის შესახებ, მოახერხა გამოეტანა განაჩენი, რომელიც მთლიანად და სავსებით ეწინააღმდეგება იმას, რაც მან თვითონვე აღმოაჩინა.

ამაშია საქმის მთელი არსი. კომისიის დასკვნის გულდასმითი ანალიზი სავსებით უეჭველად ამტკიცებს, რომ მან განზრახ სკანდალურად დაამახინჯა სიმართლე თავდაყირა დაყენებულ ყალბად გაგებულ „სახელმწიფო მოსაზრებათა“ გამო. საქმე ეხება უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის ერლ უორენისა და მისი თანაშემწეების სრულებითაც არა პირად პატიოსნებასა და კეთილსინდისიერებას. საქმე ეხება მათი გამოძიების პატიოსნებასა და ობიექტურობას, ეს კი სრულებითაც არ არის ერთი და იგივე“.

უორენის კომისიამ განზრახ დაამახინჯა სიმართლე მკვლელობის შესახებ, ხელმძღვანელობდა რა ორი ძირითადი მიზეზით: ჯერ ერთი, მისმა საკუთარმა გამოძიებამ სავსებით სარწმუნოდ ცხადყო, რომ ოსვალდი არასოდეს არ ყოფილა ნამდვილი მარქსისტი, არამედ იყო დაზვერვის ცენტრალური სამმართველოს მხოლოდ შენიღბული აგენტი, რომელმაც „წითლის“ ნიღაბი გაიკეთა, რათა შესაძლებლობა მისცემოდა წასულიყო საბჭოთა კავშირში, შემდეგ კი კუბაზეც. ეს არის „ზამბარა“ იმ შემაძრწუნებელი მოტყუებისა, რომელიც მსოფლიო საზოგადოებრიობას თავს დაატეხეს მკვლელობის შესახებ ოფიციალური ვერსიის ავტორებმა. სწორედ ამავე მიზეზით უორენის კომისიამ თავისი მასალები გაგზავნა ეროვნულ არქივში, სადაც ზოგიერთ მათგანს დაუსვეს გრიფი „სავსებით საიდუმლო“ და სადაც ისინი საზოგადოებრიობის დაკვირვებული ყურადღებისაგან დამალული იქნებიან კიდევ 75 წელიწადს. ამტკიცებენ, რომ საქმე ეხება ეროვნულ უშიშროებას; სინამდვილეში კი საქმე ეხება იმის კიდევ ერთ მკაფიო მაგალითს, თუ რა ყოვლად უვარგისად მუშაობს დაზვერვის ცენტრალური სამმართველო და რა კანონსაწინააღმდეგო ხრიკებს მიმართავს იგი.

მეორე, კომისია შიშობდა, რომ თუ ქვეყანას მთელ სიმართლეს მოუთხრობდა, ეს გამოიწვევდა საზოგადოებრივ აფეთქებას, რომლის ძალა შეიძლება მხოლოდ მიწისძვრას შევადაროთ. ამ წვრილმან შიშს არავითარი საფუძველი არ მოეპოვება. ამერიკელი ხალხი საკმაოდ მომწიფებულია იმისათვის, რომ შეიტყოს სიმართლე პოლიტიკური ჯუნგლების ზნეჩვეულების შესახებ. იგი ამისოდაც შეიტყობს მას საკმაოდ ახლო მომავალში.

წიგნი, რომელზეც ლაპარაკია, 40 თავისაგან შედგება და გაყოფილია ხუთ ნაწილად. იგი შეიცავს 360 გვერდ ტექსტს და 16 გვერდ ილუსტრაციებს. მას 1966 წლის სექტემბრის დამდეგს გამოუშვებს შვეიცარიის ერთ-ერთი უდიდესი გამომცემლობა. მას თვალსაჩინო ადგილი დაეთმობა ფრანკფურტის მომავალ წიგნის ბაზრობაზე, და იგი, უეჭველია, ინტერესს მიიპყრობს მთელ მსოფლიოში.

პირველ ნაწილში („მისტერ უორენის ზღაპარი“) ავტორი აცნობს მკითხველებს უორენის კომისიის მოხსენების ბევრ აბსოლუტურად აბსურდულ ასპექტს. მოხსენებაში ფსევდომეცნიერული ლაყბობა შეხამებულია „დედალი ბატის“ შესაფერ გამოთქმებთან.

მეორე ნაწილი („ნამდვილი ოსვალდი და მისი ნიღაბი“) შეიცავს 19 თავს, რომლებშიც გაშუქებულია მთელი საქმის უმნიშვნელოვანესი ასპექტები: ოსვალდის მჭიდრო თანამონაწილეობა საიდუმლო სამსახურის ინტრიგებში, რომლებიც საბოლოო ანგარიშით თვითონ მის წინააღმდეგ შეტრიალდა. საბჭოთა კავშირში მისი ყოფნის გულდასმითი ანალიზი ამტკიცებს, რომ იგი იქ გაგზავნილი იყო ჯაშუშად ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს მიერ. მაგრამ თავისი დავალება სამარცხვინოდ ჩაფუშა. უფრო გვიან, სამშობლოში რომ დაბრუნდა, ოსვალდი გახდა გამოძიების ფედერალური ბიუროს შემტყობინებელი და აგენტ-პროვოკატორი, თავს ასაღებდა კასტროს მომხრე აგიტატორად, მაშინ როცა მისი ნამდვილი მიზანი იყო მოემზადებინა ალიბი, რათა „წითლის“ ნიღბით მოხვედრილიყო კუბაზე. მისი მთელი ეს ცდები ჩაიფუშა, რაც აიხსნება ნაწილობრივ მისი უნიჭობით, ნაწილობრივ კი მის უფროსთა უნიჭობით.

მესამე ნაწილი („ოსვალდის ნიღაბი და მისი ნამდვილი სახე“) მიძღვნილია მთელი „ოსვალდის საქმის“ ყველაზე სენსაციური და ამავე დროს ყველაზე შემაშფოთებელი დეტალისადმი: მას ჰყავდა „ორეული“, ახალგაზრდა, რომელიც იმდენად განსაცვიფრებლად ჰგავდა ლი ჰარვის, რომ ათობით ადამიანს ისინი ერთმანეთში ერეოდნენ. მრავალი ფაქტი, რომლებიც მოყვანილია უორენის მოხსენებაში, მაგრამ რომლებიც კომისიამ ვითომდა სრულიად მიამიტურად დავიწყებას მისცა, სავსებით თვალსაჩინოდ ამტკიცებს ამ ფაქტს. ეს კაცი — როგორც ყველაფრიდან ჩანს, ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს მეორე აგენტი — განზრახ აძლევდა ნამდვილი ოსვალდის სახელის გამტეხ ჩვენებებს ბევრად უფრო ადრე მანამდე, სანამ კენედის მოკლავდნენ. საინტერესო ამბავია: უორენის კომისიის მოხსენებაში მოყვანილიც კია ამ ავბედითი ორეულის სახელი: ეს არის ლარი კრაფარდი, რუბის ხელქვეითი და „ყველაფრის ოსტატი“, მათ შორის მკვლელობათა ჩამდენიც.

თავისი წიგნის მეოთხე ნაწილში („როგორ მიჩქმალეს სიმართლე“) ავტორი მოგვითხრობს მრავალ ხრიკსა და უპატიოსნო მაქინაციაზე, რომლებიც გამოიყენეს დალასის პოლიციამ და გამოძიების ფედერალურმა ბიურომ, რათა განზრახ დაედოთ ბრალი ოსვალდისათვის (აგრეთვე დაემალათ თავიანთი თანამონაწილეობა მკვლელობაში). წიგნის ამ ნაწილში მოთხრობილია, თუ როგორ აკოწიწებდნენ ან აყალბებდნენ „კანონის დამცველნი“ უმნიშვნელოვანეს ნივთიერ დამამტკიცებელ საბუთებს; როგორ აიძულებდნენ მნახველთ მიეცათ ყალბი ჩვენებანი ან აშინებდნენ და ძალას ატანდნენ მათ; როგორ აყალბებდნენ ან საერთოდ ჩქმალავდნენ სხვა მოწმეთა ჩვენებებს; როგორ გააყალბეს ანგარიში განკვეთის შესახებ; როგორ „შექმნეს“ გამოძიების ფედერალურმა ბიურომ და საიდუმლო სამსახურის აგენტებმა დანაშაულის აბსოლუტურად ცრუ სურათი და, ბოლოს, როგორ ცინიკურად ფარავდა და ხელს უწყობდა მთელ ამ შემაძრწუნებელ დარღვევებს უორენის კომისია.

მეხუთე ნაწილში („დალასში მომხდარი მკვლელობის სისხლიანი გამოხმაურებანი“) მკითხველი შეიტყობს, რომ მკვლელობის მომენტიდან კიდევ სულ მცირე 13 კაცი მოკლეს ან მოკვდა საეჭვო გარემოებებში, ვინაიდან მათ ამა თუ იმ სახით მოუხდათ დაკავშირებული ყოფილიყვნენ საშინელ სიმართლესთან, რაც დამალულია ფალსიფიკაციისა და მოტყუების ფარდას უკან, რომელშიც გახვეულია კენედის მოკვლა.

(„იზვესტია“, 18 აგვისტო).

სტუმრად მეგობრებთან

# ქართული კულტურის დეკადა უნგრეთში

ბუდაპეშტი, 18 აგვისტო. (საქინფორმი). ბუდაპეშტის მადაჩის სახელობის თეატრში დღეს საზეიმო ვითარებაში გაიხსნა ქართული კულტურის დეკადა. თეატრის ფართო დარბაზში შეიკრიბნენ უნგრეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების აქტივისტები, უნგრეთის დედაქალაქის მშრომელები, ინტელიგენციის, ახალგაზრდობის წარმომადგენლები. პრეზიდიუმში არიან უნგრეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების თავმჯდომარე ე. მიხაილი, საზოგადოების გენერალური მდივანი ი. კრიშტოფი, უნგრეთის სამამულო სახალხო ფრონტის მდივანი შ. ხარმატი, საქართველოს დელეგაციის მეთაური, საქართველოს სსრ განათლების მინისტრის მოადგილე უ. ი. ობოლაძე, სსრ კავშირის ღროებითი საქმეთა რწმუნებული უნგრეთში ნ. რ. შელეხი. სცენაზე კაშკაშებს მისალმების სიტყვები უნგრულ და ქართულ ენებზე.

საზეიმო მიტინგზე სიტყვა წარმოთქვა უნგრეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების თავმჯდომარის მოადგილემ აკადემიკოსმა ლ. ლიგეტიმ.

საბჭოთა კავშირის ხალხებთან, — თქვა ლ. ლიგეტიმ, — ჩვენ გვაკავშირებს ნამდვილი მეგობრობა, რომელსაც ღრმად აქვს გადგმული ფესვები ისტორიაში. ამ ძმური ურთიერთობის ერთ-ერთი შესანიშნავი ტრადიციაა საბჭოთა ხალხების კულტურის დღეების მოწყობა ჩვენში და უნგრული კულტურის დეკადებისა — საბჭოთა რესპუბლიკებში. ლ. ლიგეტიმ ხაზი გაუსვა ქართველი ხალხისა და უნგრელი ხალხის ერთნაირ ბედს, რომლებიც ხშირად მთელი ისტორიის მანძილზე იბრძოდნენ საერთო მტრების წინააღმდეგ. ილაპარაკა იმ კულტურულ ურთიერთობაზე, რომელიც ჯერ კიდევ წარსულ საუკუნეებში დამყარდა და განმტკიცდა უნგრეთის განთავისუფლების შემდეგ. უნგრეთის სახალხო რესპუბლიკისა და საქართველოს სს რესპუბლიკის ურთიერთობა, — თქვა ლ. ლიგეტიმ, — ბუნებრივია არ იფარგლება კულტურის სფეროთი და უნგრეთ-საბჭოთა კავშირის ეკონომიური და მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობის განუყოფელი ნაწილია. ლ. ლიგეტიმ ხაზი

### საზეიმო მიტინგი და დეკადის გახსნა ბუდაპეშტში

◆

გაუსვა უნგრეთ-საბჭოთა კავშირის თანამშრომლობის ნაყოფიერ და ურთიერთსასარგებლო ხასიათს. უნგრეთის მთელი საგარეო ვაჭრობის ბრუნვის თითქმის 35 პროცენტი, თქვა მან, საბჭოთა კავშირზე მოდის. საბჭოთა კავშირში ჩვენი ექსპორტის 60 პროცენტს მანქანათმშენებლობის ნაწარმი შეადგენს, ამავე დროს საბჭოთა კავშირიდან ვიღებთ მთელი საიმპორტო ნედლეულის თითქმის 70 პროცენტს.

ჩვენი ხალხი, განაგრძო ლ. ლიგეტიმ, გულწრფელად უჭერს მხარს იმ მშვიდობისმოყვარულ პოლიტიკას, რომელსაც საბჭოთა კავშირი ახორციელებს. მსოფლიოს პროგრესულ ძალებთან ერთად ჩვენ სასტიკად ვგმობთ ამერიკის აგრესიას ვიეტნამის მიმართ.

ლ. ლიგეტიმ დასასრულ ხაზი გაუსვა, რომ ქართული კულტურის დეკადა უნგრეთში ხელს შეუწყობს ორი ქვეყნის ურთიერთობის გაფართოებას, უნგრეთისა და საბჭოთა კავშირის ხალხების მარადიული ძმური მეგობრობის შემდგომ განმტკიცებას.

შემდეგ სიტყვა წარმოთქვა პროფესორმა უ. ი. ობოლაძემ. მან ილაპარაკა საბჭოთა საქართველოზე, რომელიც მარქსიზმ-ლენინიზმის ყოვლისშემძლე იდეების, კომუნისტური პარტიის ბრძნული ლენინური, ეროვნული პოლიტიკის განხორციელების ერთ-ერთი ბრწყინვალე მაგალითია, დაახასიათა ქართველი ხალხისა და უნგრელი ხალხის კულტურული ურთიერთობის განვითარება.

იმ პერიოდში, თქვა მან, როცა მეფის თვითმპყრობელობა ყოველგვარ დაბრკოლებებს ქმნიდა, ცნობილი უნგრელი მხატვარი მიხაი ზიჩი ჩამოვიდა საქართველოში და ხორცი შეასხა ქართველი ხალხის სანუკვარ ოცნებას — რვა წელიწადში სრულიად უსასყიდლოდ შექმნა შოთა რუსთაველის გენიალური პოემის „ვეფხისტყაოსნის" ილუსტრაციები. ზიჩიმ შეიყვარა ეს პოემა და დაიყოლია გამოჩენილი უნგრელი ეთნოგრაფი და მწერალი ბელა ვიკარი ეთარგმნა პოემა უნგრულ ენაზე. ვიკარი ათი წლის განმავლობაში სწავლობდა ქართულ ენას და 1917 წელს გამოაქვეყნა პოემის პირველი უნგრული თარგმანი ზიჩის ილუსტრაციებით.

ორატორმა მოიყვანა უნგრელი და ქართველი ხალხების დიდი ხნის მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის სხვა მკაფიო მაგალითები. მეორე მხრივ, — თქვა მან, — ბევრი რამ გააკეთეს ცნობილმა პოეტებმა გ. ლეონიძემ, ს. ჩიქოვანმა, გ. აბაშიძემ და სხვებმა იმისათვის, რომ ჩვენი ხალხი ზიარებოდა უნგრულ ლიტერატურას. მათ უნდა ვუმადლოდეთ, რომ ჩვენი ხალხი იცნობს და უდიდეს პატივს სცემს დიდი შანდორ პეტეფის რევოლუციური მგზნებარებით გამსჭვალულ პოეზიას. უ. ი. ობოლაძე შემდეგ შეეხო საბჭოთა კავშირ-უნგრეთის მეგობრობის საზოგადოების საქართველოს განყოფილების საქმიანობას, რომელიც ამ ცოტა ხნის წინათ შეიქმნა, ილაპარაკა ქართველი ხალხისა და უნგრელი ხალხის ძმური ურთიერთობის გაფართოებისა და განმტკიცების ღონისძიებებზე.

საზეიმო საღამოს დასასრულს გაიმართა სადღესასწაულო კონცერტი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს საქართველოს ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის საბალეტო დასმა, ვოკალურ-ინსტრუმენტულმა კვარტეტმა „ორერამ" და ესტრადის მსახიობებმა მ. ხმალაძემ და ზ. ხოსიტაშვილმა.

## „ოტელოს" შემდეგ ბალეტი „გორდა"

ბუდაპეშტი, 18 აგვისტო. საქინფორმის კორესპონდენტი მ. პოპოვი იუწყება:

სეგედის, სადაც მიმდინარეობს ტრადიციული თეატრალური ფესტივალი, მაყურებლებს აჩვენეს დ. თორაძის ბალეტი „გორდა". უნგრელი მეგობრები გულთბილად მიესალმნენ საქართველოს ოპერისა და ბალეტის თეატრის მსახიობებს. ბალეტს ყველა გაზეთმა მიუძღვნა რეცენზიები, რომლებშიც მაღალი შეფასება მისცეს „გორდას" მხატვრულ ღირსებებს და ქართველ მსახიობთა ოსტატობას. გაზეთი „მადიარ ნემზეტი" დღევანდელ ნომერში ხაზს უსვამს, რომ ბალეტი ბრწყინვალედ დადგა ვ. ჭაბუკიანმა, და უაღრესად კარგად ცეკვავდნენ სოლისტები ზ. კიკალეიშვილი, ლ. მითაიშვილი, ვ. წიგნაძე, ვ. გუნაშვილი და სხვები.

ქართველ მსახიობთა დიდი წარმატებისა და უნგრეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის განმტკიცებაში მათი წვლილის აღსანიშნავად ჩონგრადის ოლქის საოლქო საბჭოს აღმასკომმა და უნგრეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების განყოფილებამ საბალეტო დასი დააჯილდოვა უნგრეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების სამახსოვრო მედლით, რომელზეც ოქროს გვირგვინია გამოსახული. ბალეტების „ოტელოსა" და „გორდას" დამდგმელებს გადაეცათ საზოგადოების სამკერდე ნიშნები, რომლებზეც გამოსახულია ვერცხლის გვირგვინი.

უნგრეთის სამამულო-სახალხო ფრონტის გაზეთმა „მადიარ ნემზეტმა" მოწინავე სტატია უძღვნა ქართული კულტურის დეკადას, რომელიც დღეს გაიხსნა.



## „ბიენალეს" პრიზი ქართველ მხატვარს

ქართული ხალხური შემოქმედების, კერძოდ, პოეტური ზეპირსიტყვიერების ერთ-ერთი მარგალიტი „არსენას ლექსი" ბევრჯერ დაბეჭდილა კრებულში და ცალკე წიგნადაც. მაგრამ პოემის ახალ გამოცემას, რომელსაც „ნაკადული" ამზადებს, ალბათ არც კი შეიძლება ეწოდოს ბეჭდური. საქმე ის გახლავთ, რომ ამ გამოცემისათვის სასტამბო შრიფტი როდია გამოყენებული. პოემის ტექსტი, თუ შეიძლება ასე ითქვას, „ააწყო" და სასტამბოდ მოამზადა საქართველოს სსრ დამსახურებულმა მხატვარმა ალ. ბანძელაძემ.

როგორ „ააწყო" მხატვარმა წიგნი? ცხადია, მას ამისათვის სტამბაში არ დასჭირვებია მისვლა, იგი თავის სამხატვრო სახელოსნოში მუშაობდა. ალ. ბანძელაძემ შექმნა „არსენას ლექსის" გრაფიკული ილუსტრაციები, სულ 50 ფურცელი (მომავალი ასგვერდიანი წიგნისათვის). წმინდა ილუსტრაციებს გარდა, რომელთა უმრავლესობა წიგნის მთელი გვერდისათვის არის განკუთვნილი, მხატვარმა ძველ ქართული ხელნაწერების ყაიდაზე გადაწერა პოემის ტექსტი და გრაფიკულად შეამკო იგი. ამისათვის მხატვარს ოსტატურად აქვს გამოყენებული ქართული ხალხური ორნამენტები და მატერიალური კულტურის ძეგლთა ნიმუშები. აი სწორედ ამ ჩანახატების საფუძველზე შეიქმნება „არსენას ლექსის" ახალი გამოცემა.

„არსენას ლექსის" გრაფიკულ ილუსტრაციებზე ალ. ბანძელაძე აგერ თითქმის 10 წელია მუშაობს. ჯერ კიდევ 1958 წელს, მოსკოვში ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადასთან დაკავშირებით მოწყობილ გამოფენაზე იყო წარმოდგენილი არსენას რამდენიმე ილუსტრაცია. მაშინ მხატვარი ამ ნამუშევრებისათვის სსრ კავშირის სამხატვრო აკადემიამ ვერცხლის მედლით დააჯილდოვა.

[illegible] ნამუშევრებს საყოველთაო აღიარება და მოწონება ხვდა ჩეხოსლოვაკიის ქ. ბრნოში, გამოფენა „ბიენალეზე". ეს არის წიგნის გრაფიკისა და ილუსტრაციის საერთაშორისო გამოფენა (ეწყობა ორ წელიწადში ერთხელ), რომელშიც მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანა მონაწილეობს.

წელს „ბიენალეზე" (რომელიც ერთი თვეა გახსნილია და კიდევ დაახლოებით ერთ თვეს იმუშავებს) საბჭოთა კავშირიდან წარდგენილი იყო 23 მხატვარ-გრაფიკოსის ნამუშევრები, მათ შორის ალ. ბანძელაძის ოთხი ნამუშევარი „არსენას ლექსის" სერიიდან. ილუსტრაციებმა ჟიურის მაღალი შეფასება მიიღო და მისი ავტორი — მხატვარი ალ. ბანძელაძე დაჯილდოებულ იქნა პრიზით, პრემიით (4.000 კრონი) და გამოფენის სპეციალური დიპლომით. ეს დიპლომი და ჟიურის მადლობა ამ დღეებში მიიღო ქართველმა მხატვარმა თბილისში. ბრნოს გამოფენის გენერალური დირექტორი იან ჩებიში მხატვრისათვის გამოგზავნილ ბარათში კერძოდ წერს: „გთხოვთ მიიღოთ ჩემი გულითადი მილოცვა ამ დიდი გამარჯვებისა და ჯილდოს გამო. გისურვებთ ახალ წარმატებებს შემოქმედებით მოღვაწეობაში და პირად ცხოვრებაში".

სწორედ „ბიენალეზე" მონაწილეობისა და წარმატების გამოძახილი უნდა იყოს ისიც, რომ ალ. ბანძელაძემ ახლახან მიიღო წერილი იუგოსლავიიდან. იქ, ქ. სლოვენიაში იხსნება ახალი სამხატვრო მუზეუმი. იუგოსლაველი მეგობრები ქართველ კოლეგას სთხოვენ თავის ერთ-ერთ ნამუშევარს მუზეუმის მუდმივი ექსპოზიციისათვის.

**ლ. კიკნაძე.**

სურათებზე: ზემოთ — ალ. ბანძელაძე; ქვემოთ ერთი გვერდი „არსენას ლექსის" გრაფიკული სერიიდან.



### ხელოვნების ქრონიკა

◆ **მახარაძის** სახელმწიფო თეატრი საგასტროლოდ იმყოფებოდა ონში. ონელმა მაყურებელმა ნახა ვ. კანდელაკის „სარეველა", გ. შელიძის „როცა ეკალი იხვლიტება", ა. გოლდონის „სამეტარილო ადგილიდან", გ. ნახუცრიშვილის „შაითან ხიხო", ო. ნიშნიანიძის „ვისთან არის მაკო?"

**ნ. დუშუაშვილი.**

◆ **ტყვარჩელში** წარმატებით გამოდის სპექტაკლებით აფხაზეთის დრამატიული თეატრი. ტყვარჩელელმა მაყურებლებმა ნახეს კ. ბუაჩიძის კომედია „სოფლელი ქალიშვილი", რომლის დადგმა საქართველოს დამსახურებულ არტისტს შ. ფაჩალიას ეკუთვნის.

ნაჩვენები იქნება აგრეთვე გ. ფიგეირედოს „ეზოპე" და სხვა სპექტაკლები.

**პლ. ბარქაია.**

### ამინდი

გუშინ საქართველოში მშრალი და ცხელი ამინდი იდგა, მხოლოდ დასავლეთ საქართველოს ზღვისპირა რაიონებში აღინიშნული იყო ხანმოკლე წვიმა და ელჭექი. მაქსიმალური ტემპერატურა იყო თბილისში — 37, გარდაბანსა და საგარეჯოში — 36, გურჯაანში — 35, მუხრანსა და თელავში — 34, დუშეთსა და გორში — 32, გეგეჭკორში, სამტრედიაში, ახალციხესა და თიანეთში — 31, გაგრაში, ქობულეთში, ამბროლაურში, ქუთაისსა და მანგლისში — 30, სოხუმში, ბათუმში, ხაშურსა და ბორჯომში — 29, მესტიაში — 27, ბაკურიანში — 23 გრადუსი.

დღეს დასავლეთ საქართველოში ალაგ-ალაგ, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოს მთიან ადგილებში მოსალოდნელია ხანმოკლე წვიმა ელჭექით. დასავლეთის სუსტი, მდინარე მტკვრის ხეობაში ზომიერი ძლიერამდე ქარი. ტემპერატურა დასავლეთ საქართველოში — 27-32 გრადუსი, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოს ბარში — 29-34 გრადუსი, მთაში — 24-29 გრადუსი. თბილისში უნდა მოველოდეთ ცვალებად მოღრუბლულ ამინდს, უნალექოდ. იქროლებს სუსტი ქარი. ტემპერატურა — 32-34 გრადუსი.

მშობლიური პეიზაჟები



სურათზე: კვირადღეს რუსთავის კულტურისა და დასვენების პარკში.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

### საბითუმო ბაზრობა სოხუმში

**სოხუმი.** (საქინფორმი). ჩვენი ქვეყნის 800 სავაჭრო ორგანიზაციისა და სამრეწველო საწარმოს 1.500-ზე მეტი წარმომადგენელი შეიკრიბა ტრადიციულ საბითუმო-სავაჭრო ბაზრობაზე, რომელიც სოხუმის რკინიგზელთა კულტურის სასახლეში გაიხსნა. ამ დიდი სრულიად საკავშირო „აუქციონის" ძირითადი მიზანია გაყიდოს არსებული საქონლის ნამეტი, შეავსოს ასორტიმენტი.

წინა წლებისაგან განსხვავებით, ბაზრობის კონიუნქტურა შეიცვალა. სახალხო მოხმარების საქონლის ფართო ასორტიმენტში, რომელიც აქაა წარმოდგენილი, ჭარბობს სასურსათო საქონელი.

## სინათლე მთებში

**ქუთაისი** (საკ. კორ.). კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მთლიანი ელექტროფიკაციისათვის დიდი მოცულობის სამუშაოებს ასრულებს ტრესტ „საქსოფლელექტრომშენის" ქუთაისის № 6 სამმართველო, რომელიც დასავლეთ საქართველოს 15 რაიონს ემსახურება.

ელექტრომშენებლებმა წლის პირველ ნახევარში საექსპლოატაციოდ გადასცეს 58 კილომეტრი მაღალი ძაბვისა და 194 კილომეტრი დაბალი ძაბვის ხაზები, რითაც უზრუნველყვეს 15 კოლმეურნეობისა და ორი საბჭოთა მეურნეობის ელექტროფიკაცია.

მიმდინარე წელს ელექტროფიცირებულ იქნა ქ. ჭიათურის სოფლები თვალუეთი და ცხრუკვეთი, საჩხერის რაიონის სოფლები ჩიხა და ორღული, ვანის რაიონის — ამაღლება და ყუმური, წულუკიძის რაიონის — გორდი და სხვა მაღალმთიანი სოფლები.

## „ენერგეტიკოსი" გაგრაში

### ჯანმრთელობის ახალი კერა

◆

**შესანიშნავი** მდებარეობითა და სამკურნალო თვისებებით არის დაჯილდოებული საქართველოს ზღვისპირეთის უმშვენიერესი კურორტი გაგრა. მის სანატორიუმებში, დასასვენებელ სახლებში პანსიონატებსა და ტურისტულ ბაზებში ამჟამად ათეულ ათასობით მშრომელი ატარებს თავისი შვებულების დღეებს.

სულ უფრო შენდება და კეთილმოწყობილი ხდება კურორტი. ამას წინათ მას ჯანმრთელობის კიდევ ერთი კერა შეემატა. გაგრის აღმოსავლეთ ნაწილში ზღვისპირას აშენდა და საექსპლოატაციოდ გადაეცა არქიტექტურულად ლამაზად გაფორმებული ნაგებობა. ეს ახალი ობიექტი ენერგეტიკოსთა გამაჯანსაღებელი ბაზის სახელწოდებით ააშენა საქჰიდრომშენის გაგრის სამშენებლო უბნის (უფროსი ჩ. რუხაძე) კოლექტივმა.

ბაზა განკუთვნილია ზაფხულის პერიოდში ენერგეტიკოსთა ბავშვების დასასვენებლად. სექტემბრიდან მომავალ ზაფხულამდე კი აქ დაისვენებენ ჩვენი ქვეყნის ენერგეტიკოსები და ენერგომშენებლები.

ბავშვთა საუკეთესოდ დასვენებისათვის აქ შექმნილია ყველა პირობა. შენობას ოთხსაწოლიანი ნათელი პალატები აქვს, რომლებიც აღჭურვილია საუკეთესო ხარისხის რბილი და მაგარი ინვენტარით.

ყოველ სართულზე მოწყობილია ბავშვთა სათამაშო ოთახები, ხოლო პიონერთა ოთახს დათმობილი აქვს დიდი, ნათელი დარბაზი.

პირველ ნორჩ მოაგარაკეებს ძალიან მოსწონთ თავიანთი სასადილოც, სადაც ისინი ყველანი ერთდროულად იღებენ საუზმეს, სადილს, ვახშამს. ბავშვების განკარგულებაშია საუკეთესო ფართოეკრანიანი კინოდარბაზი, აგრეთვე კეთილმოწყობილი სპორტული მოედნები. ბაზის ტერიტორიაზე წელს დაირგო 10 ათასამდე ძირი დეკორაციული მცენარე.

ამჟამად გამაჯანსაღებელ ბაზა „ენერგეტიკოსში" ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა მხრიდან ჩამოსული 320 ბავშვი იკაჟებს ორგანიზმს.

**ი. გოგეჩია,**
„კომუნისტის" საკ. კორ.

* * *



სურათზე: გამაჯანსაღებელ ბაზა „ენერგეტიკოსის" მთავარი კორპუსი.

ფოტო ბ. მეტრეველისა.

### მეგობრების სუფრისათვის

**ზესტაფონი.** (საკ. კორ.). არგვეთის ღვინის ახალი ქარხანა უდიდესია დასავლეთ საქართველოს მეღვინეობის საწარმოებში. იგი უშვებს როგორც სამარკო, ისე სუფრის ღვინოებს.

ღვინოების მსოფლიო კონკურსზე, რომელიც საქართველოს დედაქალაქში გაიმართა, აქ ჩამოსხმულმა ღვინოებმა „ცოლიკოურმა", „სვირმა" და სუფრის ღვინო № 6-მა ვერცხლის მედლები მიიღეს.

ქარხანაში ბევრი რამ კეთდება ღვინის ტექნოლოგიისა და ხარისხის გაუმჯობესებისათვის, საწარმოო პროცესების მექანიზაცია-ავტომატიზაციისათვის. ახლახან გამართეს ავტომატური კონვეიერული ხაზი, რითაც ორჯერ გაიზარდა შრომის ნაყოფიერება, ამაღლდა ხარისხი.

ქარხნის კოლექტივმა წელს ასეულ ათასობით ბოთლი ღვინო გამოუშვა. აქაური ღვინოები გაიგზავნა მოსკოვში, სვერდლოვსკში, ვოლგოგრადსა და ჩვენი სამშობლოს დიდ ქალაქებში. ზესტაფონური ღვინოები მეგობრების სუფრას ამშვენებს.

### ავტომანქანები ლატარიით

▲ **წითელწყაროელ** მ. ყატაშვილს აღმოაჩნდა საქართველოს ფულისა და ნივთების ლატარიის ბედნიერი ბილეთი № 085, სერია 17589.

მან ამ ბილეთით ავტომანქანა „ვოლგა" მოიგო.

**ჯ. ზაქარიაძე.**

▲ **სოფელ** ოქტომბრის (ზუგდიდის რაიონი) მცხოვრებმა ა. გვასალიამ ზუგდიდის ცენტრალურ შემნახველ სალაროში წარადგინა საქართველოს სსრ ფულისა და ნივთების მეშვიდე გამოშვების ლატარიის 16432 სერიის № 479 ბილეთი, რომელსაც მოგებად ხვდა მსუბუქი ავტომანქანა „მოსკვიჩი".

**ბ. ალშიბაია.**

### ა. ყ. ჯიჯიეშვილი



**გარდაიცვალა** ძველი ბოლშევიკი, პერსონალური პენსიონერი ა. ყ. ჯიჯიეშვილი.

ა. ჯიჯიეშვილი დაიბადა 1890 წელს ლანჩხუთის რაიონის სოფელ გულიანში, გლეხის ოჯახში. პირველდაწყებითი განათლება სუფსის ოთხკლასიან სასწავლებელში მიიღო. 1914 წელს მეფის არმიაში გაიწვიეს, სადაც დაუკავშირდა პროგრესულად მოაზროვნე ადამიანებს და მათთან ერთად მოაწყო გამოსვლები არსებული რეჟიმის წინააღმდეგ. 1917 წელს დაბრუნდა მშობლიურ სოფელ სუფსაში.

1918 წელს ა. ჯიჯიეშვილი კომუნისტური პარტიის რიგებში შევიდა. რევოლუციური საქმიანობისათვის არაერთხელ იყო დაპატიმრებული.

პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ ღირსეულად დააფასეს ა. ჯიჯიეშვილის ღვაწლი. მას არაერთი ჯილდო და მადლობა დაუმსახურებია, იყო საქართველოს კომპარტიისა და მუშათა ყრილობების მონაწილე.

ა. ჯიჯიეშვილის ნათელი ხსოვნა დიდხანს დარჩება მეგობრებისა და ამხანაგების გულში.

**ამხანაგების ჯგუფი.**

## სპორტი

### მოსკოვის საერთაშორისო

**მოსკოვის** ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალური სტადიონის კორტებზე ყოველდღიურად მრავალი მაყურებელი იყრის თავს. აქ რამდენიმე დღეა მიმდინარეობს საერთაშორისო ტურნირი ჩოგბურთში 11 ქვეყნის საუკეთესო წარმომადგენელთა მონაწილეობით.

ჩოგბურთელთა ერთმა ჯგუფმა ავსტრალიელი **ჯუდი ტეგარტის,** ინგლისელი **ენ ჯონსისა** და სხვათა მონაწილეობით ტურნირზე დაიგვიანა და ერთბაშად მოუხდა ბრძოლაში ჩაბმა. პირველი გამოცდა **ტეგარტისათვის** მაინცდამაინც ძნელი არ აღმოჩნდა, მან ადვილად დაამარცხა მოსკოველი **თ. ჩალკო** 6:3, 6:2, ასევე დიდი ჯაფა არ დადგომია **ე. ჯონსს,** რომელმაც გადალახა პირველი დაბრკოლება, დაამარცხა ესტონელი **ევა კიარმასი** 6:2, 6:1.

ზედიზედ ორი გამარჯვება მოიპოვა ავსტრალიის მეორე წარმომადგენელმა **რობერტ კარლმაიკლმა.** ჯერ ოთხ პარტიაში დაამარცხა რუმინელი **ს. დრონსი,** შემდეგ კი მოუგო **ვ. კოროტკოვს** 6:3, 6:4, 6:4.

ვაჟთა შორის წარმატებით გამოდიან თბილისელი **ა. მეტრეველი,** ჩვენი ქვეყნის არაერთგზის ჩემპიონი **თ. ლეიუსი** და **ვ. ეგოროვი,** ისინი ერთეულთა ასპარეზობის მეოთხედფინალში გავიდნენ. წარუმატებლობა განიცადა **ტიუ სიმსონმა,** წააგო ორთაბრძოლა ფრანგ **ე. ტერასთან** 7:9, 5:7.

შერეულ წყვილთა პაექრობაში **მეტრეველმა ჯონსონთან** ერთად კიდევ ერთი გამარჯვება ჩაიწერა აქტივში. **მეტრეველმა** და **ლიხაჩოვმა** მოუგეს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის წყვილს **გოტშალკსა** და **გეინმანს. ერმოლოვა** დამარცხდა ჩვენი ქვეყნის არაერთგზის ჩემპიონთან **დმიტრიევასთან** პაექრობაში.

**გუშინ** გაიმართა მეოთხედფინალური შეხვედრები. მატჩების უმრავლესობა ხასიათდებოდა შეუპოვარი ბრძოლით. სსრ კავშირის ჩემპიონმა **ლეიუსმა** დამარცხება განიცადა ჩეხოსლოვაკიელ **კოდეშთან** და გამოეთიშა უძლიერესთა რიგებს. კვლავ წარმატებით იბრძვის ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელი **მეტრეველი.** მან კიდევ ერთი გამარჯვება მოიპოვა, ამჯერად გერმანელ ჩოგბურთელთან და ნახევარფინალში გავიდა. **ივანოვამ** წააგო **ტეგარტთან.**

### ვინ მოიპოვებს პრიზს?

17 აგვისტოს ხარკოვში საზეიმოდ გაიხსნა „ტყავის ბურთის" კლუბის პრიზის გათამაშების ფინალური ტურნირი ფეხბურთში, რომელსაც აწყობენ საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტი, გაზეთ „პიონერსკაია პრავდის" რედაქცია და სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაცია.

დასკვნით ასპარეზობას წინ უძღოდა შესარჩევი შეხვედრები, რომლებმაც გამოავლინა 24 უძლიერესი კოლექტივი. ხარკოვის სტადიონზე მოეწყო ნორჩ ფეხბურთელთა პარადი, რომელსაც მეთაურობდა ა. ხომიჩი. ფინალისტებს მიესალმა სსრ კავშირის ნაკრების კაპიტანი ა. შესტერნიოვი.

წილისყრით პირველ მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ ხარკოვის „ფაკელი" და მოსკოვის „ჩაიკა". მატჩი აღინიშნა ხარკოველთა უპირატესობით, მასპინძელთა ცენტრფორვარდმა ი. ტკაჩენკომ ორი ბურთი გაიტანა მეტოქის კარში. „ფაკელმა" პირველი გამარჯვება იზეიმა. 2:0.

### მატჩი მოსკოვში

**გუშინ** მოსკოვში გაიმართა საკავშირო ჩემპიონატის მორიგი მატჩი ფეხბურთში „ა" კლასის პირველი ჯგუფის გუნდებისათვის. თამაშობდნენ დედაქალაქის „ტორპედოსა" და მინსკის „დინამოს" გუნდები. შეხვედრის შედეგია 2:0 მინსკელთა სასარგებლოდ.

დღეს და ხვალ შედგება პირველობის კიდევ 4 მატჩი. დღეს მოსკოვში ერთმანეთს შეხვდებიან ადგილობრივი „დინამო" და „სპარტაკი", ხვალ კი პაექრობა ექნებათ ქუთაისის „ტორპედოსა" და ოდესის არმიის სასპორტო კლუბის გუნდს, ოდესის „ჩერნომორეცსა" და ბაქოს „ნეფტიანიკს", ტაშკენტის „პახტაკორსა" და ალმა-ატის „კაირატს".

### სტუმრების უპირატესობით

**გუშინ** თბილისის კიროვის სახელობის პარკის კალათბურთის სტადიონზე გაიმართა საერთაშორისო მატჩი კალათბურთში გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ქალთა გუნდებს შორის. წარმატება სტუმრებს ხვდათ, მათ გაიმარჯვეს 55:45.

### ასპარეზობენ მფრინავები

**სუმი,** 18 აგვისტო. (საქინფორმის კორ.). დღეს სსრ კავშირის საჰაერო ფლოტის დღეს, სუმის ახლოს აეროდრომზე აფრიალდა სავერტმფრენო სპორტში ჩვენი ქვეყნის პირველობის ალამი. სსრ კავშირის ჩემპიონის წოდებისათვის „მი-1" ვერტმფრენებით იბრძვის 36 უძლიერესი ოსტატი და პირველთანრიგოსანი — რუსეთის ფედერაციის, ბელორუსიის, უზბეკეთისა და სხვა რესპუბლიკების 10 გუნდის წარმომადგენლები.

პროგრამაშია სამი ვარჯიში — სამარშრუტო ფრენები, ფრენები მცირე სიმაღლეზე, ტვირთის ჩამოყრა მიზანში და „ჭაში" დაჯდომა.

### პელე და ეისებიო ერთმანეთს შეხვდებიან

**ნიუ-იორკი.** ამერიკის შეერთებულ შტატებში, სადაც ფეხბურთი არც თუ ისე პოპულარულია, მაინც ყოველწლიურად ეწყობა ასპარეზობა ამ წარმტაცი თამაშის პოპულარიზაციის მიზნით. უახლოეს დღეებში აქ დაიწყება შეიძლება ითქვას, შემადგენლობით ყველაზე ძლიერ „ჩემპიონთა საერთაშორისო ტურნირი". მონაწილეობას მიიღებენ ცნობილი ფეხბურთელები **პელე და ეისებიო.** პირველი გამოვა ბრაზილიის „სანტოსის" შემადგენლობაში, მეორე — პორტუგალიის „ბენფიკაში". ტურნირის მესამე მონაწილე იქნება საბერძნეთის „აეკის" კლუბი. ბრაზილიელები და პორტუგალიელები ერთმანეთს შეხვდებიან 21 აგვისტოს, „სანტოსი" და „აეკი" — 24, ხოლო „ბენფიკა" და „აეკი" — 28 აგვისტოს. (საქინფორმი).

### სპორტული ქრონიკა

▲ სანტა-მონიკას საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირის უკანასკნელი ტურის გადადებული პარტიების დამთავრებისას ამერიკის შეერთებული შტატების გროსმაისტერმა რეშევსკიმ, რომელსაც გარკვეული პოზიციური უპირატესობა ჰქონდა ნაიდორფთან, სძლია მეტოქეს, შეგროვებული ქულებით დაეწია მსოფლიოს ჩემპიონს პეტროსიანს და მასთან ერთად გაიყო მეექვსე-მეშვიდე ადგილები.

▲ ვარშავაში დამთავრდა საერთაშორისო ტურნირი თანამედროვე ხუთჭიდში გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, პოლონეთის, უნგრეთის, შვეციისა და ლიტვის გუნდების მონაწილეობით. პირად ასპარეზობაში უძლიერესი იყო გერმანელი სპორტსმენი ადლერი (4.967 ქულა). მეორე ადგილი დაიკავა საბჭოთა ხუთჭიდელმა მოსკვიჩევმა (4.885 ქულა). გუნდურ ასპარეზობაში წარმატებით გამოვიდნენ გერმანელები.

### რა ვნახოთ, რა მოვისმინოთ

#### ტელევიზია

**19 აგვისტო**

11.00 — მხატვრული ფილმი — „იოლი ცხოვრება", 17.55 — გადაცემათა პროგრამა, 18.00 — დოკუმენტური ფილმი, 18.55 — განცხადებები, 19.00 — გადაცემა ციკლიდან — „საინტერესო ვიცოდეთ" — „ნადირთა შორის", 19.20 — კინონარკვევი, 20.00 — „როცა ქალაქში ცხელა" (ჩვენი რეიდი), 20.30 — ფეხბურთი საბჭოთა კავშირის პირველობაზე. ერთმანეთს ხვდებიან „დინამო" მოსკოვი — „სპარტაკი" მოსკოვი (გადმოცემა მოსკოვიდან), 21.15 — მელოდიები არფაზე, 21.45 — ახალი ამბები (ქართულ და რუსულ ენებზე), 22.05 — მხატვრული ფილმი „იოლი ცხოვრება".

**მეცხრე არხით** — ცენტრალური ტელევიზიის პროგრამა დილით 12 საათიდან, საღამოს 17 ს. 45 წ.

**20 აგვისტო**

16.55 — გადაცემათა პროგრამა, 17.00 — პატარებისათვის — „ცეროდენას ეკრანი", 17.20 — მოსწავლეთათვის — მოგზაურობა მსოფლიოს გარშემო" — კინომოგზაურობა საფრანგეთში, 17.40 — განცხადებები, 17.45 — კინონარკვევი, 17.55 — გადაცემა — „ზაქარია ფალიაშვილი" (დაბადების 95 წლისთავის გამო), 18.45 — „კინომოგზაურთა კლუბი (გადმოცემა მოსკოვიდან), 19.45 — სასოფლო-სამეურნეო მანქანათა გამოფენა-ბაზრობა, (გადმოცემა მოსკოვიდან), 20.00 — მხატვრული ფილმი, 21.45 — საესტრადო კონცერტი (გადმოცემა კიევიდან), 22.30 — ახალი ამბები (ქართულ და რუსულ ენებზე).

**მეცხრე არხით** — ცენტრალური ტელევიზიის პროგრამა დღის 12. ს. 30 წ.

#### კინო

**19 აგვისტო**

ოქტომბერი — **ომი და მშვიდობა,** რუსთაველის სახელობის, ამირანი (საზამთრო და საზაფხულო), ისანი (საზამთრო), პლეხანოვის სახელობის კულტურის სახლი (საზამთრო), საქართველო (წითელი დარბაზი) — **ალპური ბალადა,** საქართველო (მწვანე დარბაზი), ი. ჭავჭავაძის სახელობის კულტურის სახლი, კოსმოსი — **ჰიპოკრატეს ფიცი,** თბილისი, კოლმეურნე, კომკავშირელი — **სამი სიცოცხლე,** კოლხიდა (საზამთრო), ეკრანი, ოფიცერთა სახლი, ბათუმი — **იხევ ცოცხალი,** კიროვის სახელობის პარკი, ყაზბეგი (პირველი დარბაზი) — **მესამე სიჭაბუკე.**

რედაქტორი
**დ. მჭედლიშვილი.**

კომუნისტი

თბილისი, ლენინის 14. რედაქტორის მოადგილეების — 9-93-03, 9-03-09, პ/მგ მდივნის — 9-72-80, ხამდივნოსი — 9-66-10. განყოფილებებისა: პარტიული — 9-87-61, პროპაგანდის — 8-22-93, მრეწველობის — 8-20-84, სოფლის მეურნეობის — 9-52-46, საბჭოთა მშენებლობის — 8-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 8-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 9-55-01, ინფორმაციის — 8-16-90, წერილების — 9-78-24, ილუსტრაციის — 8-28-54, განცხადებების — 8-83-96.

ჩვენი მისამართი და ტელეფონები